პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 მაისი 2007 №99 (3022) ფასი 50 თეთრი

# ამერი  ზესტაფონი: ინტერესი ინტერეთერში




ვინც 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე მივა, ნაღდად არ ინანებს.

„ამერი" — „ზესტაფონის" ფინალისწინა სამზადისი პროფლიგამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა უკვე დაიწყეს. „რუსთავი 2" პირდაპირ ტრანსლაციას სულაც საათნახევრით ადრე დაიწყებს და თანაც ეს რეპორტაჟი ქართული ტელევიზიებისთვის ნოვატორული ტექნოლოგიით მოეწყობა: „ეროვნულზე" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 კამერა იმუშავებს...

ამ ყველაფრის ორგანიზებისთვის პროფლიგამ პრემიერლიგის თამაშების ტელეპროდიუსერი ბილ რასელი მოიწვია.

გარდა ამისა, თამაშს შოუ-პროგრამაც გაალამაზებს, ოლონდ ვისი მონაწილეობით, ამას პროფლიგა სიურპრიზად იტოვებს.

ცხადია, იქნება ლატარია, საზეიმო დაჯილდოება და ჩვენში ფოიერვერკად ხმობილი ჩირაღი.

ბოლოსთვის ერთი საინტერესო ამბავიც: „რუსთავი 2"-ის გარდა, „ამერი" — „ზესტაფონს" უკრაინული „სპორტ 1" აჩვენებს. მატჩის ტრანსლირებაზე მოლაპარაკება რუსულ „ნტვ-ფუტბოლთანაც" მიმდინარეობს.

## ათენური ფინალის საფრთხე: პოლიცია

23 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალია: „მილანი" — „ლივერპული".

2006-07 წლების საფეხბურთო სეზონის მთავარ მატჩს ათენი მასპინძლობს, სადაც ეს დღეებია, არა და არ წყდება პოლიციელთა აქცია-გაფიცვები და ვაი უეფას თავს: საბერძნეთის პოლიციის ოფიცერთა ფედერაციისგენერალურმა მდივანმა ანტონის ბოტაიტისმა განაცხადა, რომ 23 მაისს, ფინალის დღეს ყველა პოლიციელი გაიფიცება, რადგან ეს დღე ხელსაყრელი მომენტია საიმისოდ, რათა პოლიციელებმა ყველას გააგებინონ თავიანთი გასაჭირის ამბავი.

ბერძენი სამართალდამცავები ხელფასების მომატებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. უეფა კი საგონებელშია: ფეხბურთი და ძალადობა ბოლო ხანს ძალიან „დაძმობილდნენ" და თუ ფინალს პოლიციამ უგანა, ღმერთმა უწყის, რა შეიძლება მოხდეს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ათენში ყველაზე თავზეხელალებული ქომაგები, იტალიელები და ინგლისელები ჩადიან...



## შევა და გამოვა?

ანდრეი შევჩენკო „მილანის" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლით ბედნიერია და თუ მილანელთა სურვილი იქნება, სიამოვნებით დაბრუნდება კლუბში, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაატარა და მსოფლიო დონის ვარსკვლავად იქცა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჟოზე მაურინიუს სიტყვებიც: „შევჩენკო ჩვენთვის მთავარი არ არის".

მოკლედ, ლოგიკა გვკარნახობს, რომ მალე შესაძლოა, კიდევ ერთი რე-ტრანსფერი შედგეს და მთელ ამ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებ ესაა: შევას მეუღლე კრისტენ პაზიკს ლონდონი მოჰყირჭებია...

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

**26 მაისი. ეროვნული. 20.00**

**გუშინ** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ჟურნალისტები იწვია და პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე, პროფლიგის პრესსამსახურის უფროსი პაატა ბურჯალიანი და ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ წარმომადგენელი როსტომ წულუკიძე მედიელებს საქართველოს თასის ფინალური მატჩის ორგანიზაციის თაობაზე ესაუბრნენ.

მატჩის ორგანიზატორები 26 მაისს „ამერი“ — „ზესტაფონის“ მატჩზე 30-40 ათას მაყურებელს ელიან, ამიტომ მერიის თანამშრომლებთან აპირებენ შეხვედრას, რათა აქედანვე იზრუნონ უსაფრთხოებაზე.

ფინალისადმი უდიდესი ინტერესის გამო პროფლიგა და „რუსთავი 2“ თანამშრომლობას აპირებენ. ტელეკომპანია მალე სარეკლამო რგოლებსაც გაუშვებს, ფინალი კი პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

ტელეტრანსლაცია გასაკვირი სულაც არ არის, მაგრამ 26 მაისის მატჩი ქართული ტელევიზიებისთვის ახალი ტექნოლოგიით გადაიცემა. „ეროვნულზე“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 კამერა იმუშავებს. სტადიონზე შეკრებილ და ტელევიზორებთან მსხდარ გულშემატკივართ საშუალება ექნებათ, თამაშამდელი ამბებიც იხილონ. კამერები იმუშავებენ არენაზე, ტრიბუნებზე, გასახდელებში...



## ამერი VS ზესტაფონი

### დიდი ინტერესი და ინტერეთერი

ერთ-ერთ VIP-ლოჟაში მოეწყობა სტუდია, სადაც აზრის გამოთქმა ექსპერტებთან ერთად ფეხბურთის გულშემატკივრებსაც შეეძლებათ. ამიტომაც ტელეტრანსლაცია მატჩამდე საათნახევრით ადრე დაიწყება. იმუშავებს სამი ტელეჟურნალისტი, რეპორტაჟს დიმა ობოლაძე წაიყვანს, ერთი სტუდიაში იქნება, ერთიც — არენაზე.

ჩვენთვის უჩვევ ამ საქმეში დასახმარებლად პროფლიგამ პრემიერლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების პროდიუსერი ბილ რასელი მოიწვია, რომლის თანაშემწე ამჟამად უკვე თბილისშია და წინასწარ სამუშაოებს უძღვება. თავად რასელი კი 23 ან 24 მაისს ჩამოვა.

„რუსთავი 2-ის“ გარდა, პროფლიგა სხვა მედიაორგანიზაციებთანაც აპირებს თანამშრომლობას. ჟურნალისტებს ყველა საშუალება ექნებათ, რათა გულშემატკივრებს მატჩამდელ პერიპეტიებზეც მოუთხრონ.

პროფლიგა კვლავაც აპირებს ფინალური მატჩის შოუ-პროგრამით გალამაზებას, თუმც ვინ მიიღებს მონაწილეობას შოუში, ამას ორგანიზატორები ჯერ საიდუმლოდ ინახავენ.

მოეწყობა ლატარიაც, რომელშიც იმ ბილეთების ნომრები გათამაშდება, რომლებიც გულშემატკივრებს ეროვნული ჩემპიონატის ტურებისას ჰქონდათ შევსებული.

26 მაისის საღამო კი საზეიმო დაჯილდოებითა და ჩირაღით დასრულდება.

როგორც ბურჯალიანმა გვაცნობა, „ამერი“ — „ზესტაფონის“ პირდაპირ ტრანსლირებაზე რუსულ „ნტვ ფუტბოლთან“ მიმდინარეობს მოლაპარაკება, ხოლო უკრაინული „სპორტ 1“ ამ თამაშს რომ აჩვენებს, უკვე გადაწყვეტილია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რაჭამ, კვარაცხელია ქვეშენიჭირიმეთ



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მოსურნე მამუკა კვარაცხელიამ გუშინ ფედერაციაში ყველა საჭირო საბუთი წარადგინა და 13 მაისს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური კანდიდატი გახდა.

კვარაცხელია ფედერაციის ახლანდელი თავკაცის ყველაზე ხმაურიანი ოპონენტი და მესამე ოფიციალური კანდიდატია. იქამდე არჩევნებში სამონაწილეოდ ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი გიორგი ნემსაძე დარეგისტრირდნენ.

პრეზიდენტობის კანდიდატად მამუკა კვარაცხელია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონულმა ფედერაციამ წარადგინა, რომლის თავკაცი გია შარაბიძეა. „ჩემი მეუღლე რაჭველია და ამ კუთხეში ხშირად მიწევდა და მიწევს ჩასვლა. იქაურებს მშვენივრად ვიცნობ, რეგიონულ ფედერაციასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. მათ გავაცანი ჩემი წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც მოეწონათ და არჩევნებში ჩემი კანდიდატურის წარდგენას დათანხმდნენ“ — გვითხრა მამუკა კვარაცხელიამ.

კვარაცხელიას თქმით, იმედი ჰქონდა, რომ მის კანდიდატურას სფფის სხვა სუბიექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია წარადგენდა, თუმცა ამ ფედერაციამ ნეიტრალიტეტი ირჩია — მანამდე ნოდარ ახალკაცისა და გიორგი ნემსაძის კანდიდატურების წარდგენაზეც თავი შეიკავა. გამორიცხული არაა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ფედერაციამ ნეიტრალური პოზიცია არჩევნების დროსაც დაიკავოს.

აქვე გეტყვით, რომ დღეს, თორმეტ საათზე საბილიარდო „თორმეტ მაგიდაში“ მამუკა კვარაცხელია მორიგ პრესკონფერენციას აწყობს.

**ბაჩო სვანიძე**

## სეგრტის ბიჭები შვედებთან იამხანაგებენ

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრები 12 ოქტომბერს შვედ თანატოლებს სტუმრად ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრება. 16 ოქტომბერს პეტერ სეგრტის გუნდს ყაზახეთის 21-წლამდელებთან 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის გასვლაზე და ჩვენებიც შვედეთიდან პირდაპირ ყაზახეთში გაემგზავრებიან.

შეგახსენებთ: ქართველი ახალგაზრდები ევროშესარჩევ ციკლს 5 ივნისს ესპანეთთან საშინაო შეხვედრით დაიწყებენ.

**ილია ნანობაშვილი**



## ცხადაძე 1 ივლისამდე

**საქართველოს** თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „ამერთან“ მარცხის შემდეგ ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზევე გამოაცხადა, გუნდიდან მივდივარო. „სიონის“ ხელმძღვანელობამ მაშინვე თქვა, ცხადაძეს მოქმედი კონტრაქტი აქვს კლუბთან და ჯერ ვერსად წავაო.

ბოლნისელებმა ცხადაძის გარეშე ეროვნული ჩემპიონატის ორი მატჩი ჩაატარეს: „ტორპედოსთან“ და „ბორჯომთან“ გუნდს გიორგი ყიფშიძემ უთავკაცა, თუმც „ამერთან“ საპასუხო სათასო შეხვედრაში „სიონი“ ისევ ცხადაძემ გაიყვანა მინდორზე.

გუშინ ქვემოქართლური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, ცხადაძეს 1 ივლისამდე აქვს „სიონთან“ კონტრაქტი, მერე კი ყველაფერი მოლაპარაკებაზეა დამოკიდებულიო. მოკლედ, ჩემპიონატის დარჩენილ ოთხ ტურში „სიონს“ ისევ ცხადაძე გაწვრთნის.

**ლუკა თალაკვაძე**

## უეფას თასი 2006-2007

### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

*სევილია (ესპანეთი)* 2:0 ოსასუნა (ესპანეთი) (0:1)

1:0 ლუიშ ფაბიანო (37), 2:0 რენატო (53)

სევილია: პალოპი, მარტი, ხავი ნავარო, ესკუდე, პუერტა, დანი ალვეში, პოულსენი, ადრიანო კორეირა (დუდა 27), რენატო (აიტორ ოსიო 88), ლუიშ ფაბიანო (კერჟაკოვი 73), კანუტე

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ოსასუნა: რიკარდო, ენრიკე, კრუჩაგა, კუელიარი, ისკიერდო (მუნიოსი 83), ნეკუნამი, დ. ლოპესი, რაულ გარსია, პუნიალი (ვალდო 61), ხუანფრანი (დელპორტე 72), ვებო

მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა

გაფრთხილება: დუდა (76), კუელიარი (83), ნეკუნამი (85), მუნიოსი (87), ესკუდე (87)

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

43 700 მაყურებელი

ვერდერი (გერმანია) 1:2 *ესპანიოლი (ესპანეთი)* (0:3)

1:0 უგო ალმეიდა (4), 1:1 კორომინასი (50), 1:2 ლაკრუსი (60)

ვერდერი: რაინკე, შულცი, პასანენი, ნალდო, ოვომოიელა (კ. შნაიდერი 46), ფრინგსი (ბაუმანი 75), დ. იენსენი (ვომე 70), დიეგო, პანტი, კლოზე, უგო ალმეიდა

მწვრთნელი: თომას შააფი

ესპანიოლი: ირაისოსი, ლაკრუსი, ტორეხონი, ხარკე, დავიდ გარსია, იტო, საბალეტა (მ. მარტინესი 65), კორომინასი, ლუის გარსია, რიერა (რუფეტე 71), ტამუდო (ჟულიანი 79)

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

გაფრთხილება: კლოზე (2), კლოზე (19), საბალეტა (28), უგო ალმეიდა (45), კორომინასი (51), ლუის გარსია (90)

გაძევება: კლოზე (19)

მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

37 000 მაყურებელი

## შვედეთი

### სუპერეტა. IV ტური

სილვია 1:2 ნორჩიოპინგი

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. III ტური

ოულუ 2:0 ინტერი

პაკა 1:2 ლაჰტი

ვიიკინგიტი 0:1 კტპ

ვაასა 0:0 მიუპა

## ირლანდია

### პრემიერლიგა. IX ტური

კორკი 1:0 სენტ პატრიკსი

## იაპონია

### ჯეი ლიგა. VIII ტური

ურავა 1:1 იჩიჰარა

კოფუ 1:0 ფკ იოკოჰამა

ტოკიო 1:2 კაშიმა

კაშივა 0:0 ნიიგატა

ნაგოია 1:2 ოიტა

ჰიროშიმა 2:1 ომია

კობე 2:2 გამბა

შიმიცუ 2:1 ივატა

იოკოჰამა 2:1 კავაზაკი

## ამხანაგური მატჩი

ბაჰამა 0:1 ჰაიტი

# კარდინალი რუხი ხომ არ იქნება?

2 და 6 ივნისს საქართველოს ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებს გამართავს ლიტვასთან და საფრანგეთთან. უეფამ უკვე დანიშნა ის მსაჯები, რომლებიც ამ თამაშებს მოემსახურებიან.

2 ივნისს ლიტვაში შვეიცარიელ არბიტრთა ბრიგადა იმუშავებს. მთავარი მსაჯი კლაუდიო კირჩეტაა, მას მანუელ ნავარო და ანტონიო ფერნანდესი დაეხმარებიან.

დადგინდა ლიტველებთან შეხვედრის დროც: მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.

6 ივნისის ოსერულ მატჩს კი პორტუგალიელები განსჯიან. მთავარ მსაჯ ლუსილიო კარდოზო კორტეშ ბატისტას ასისტენტობას ჟოზე მანუელ სილვა კარდინალი და ჟოაო ფერეირა დუშ სანტუში გაუწევენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


## იყიდება

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.

ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94



# ევრომედიამ კახაზე კახაბერობა თქვა

**ქართველ** ფეხბურთელთაგან არავის მიუღწევია იმედისთვის, რამდენიც კახა კალაძემ შეძლო. „მილანის“ მცველი შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. 2003 წელს „მილანმა“ მანჩესტერში შემდეგომ, პენალტებით მოუგო თასი „იუვენტუსს“, 2005-ში კი „ლივერპულთან“ ისევ პენალტებით წააგო. 23 მაისს კახას და „მილანს“ რევანშის შანსი ექნებათ ორი წლის წინანდელი მარცხისთვის. ინგლისელებზე შურისძიება კი ნახევარფინალში „მანჩესტერის“ ძლევით დაიწყო. „წითელ ეშმაკებთან“ მატჩში კალაძე რომ ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ამას ევრომედიის შეფასებებიც მოწმობს.

goal.com (შვეიცარია): შესაძლოა, კახა კალაძე ფანტასტიკური არ იყო, მაგრამ მისმა მშვიდმა და გაწონასწორებულმა თამაშმა „მილანის“ გამარჯვებაში დიდი წილი დაიდო. პაოლო მალდინის მემკვიდრე მილანელთა მანქანის შემადგენელი ნაწილია.

ამ შვეიცარიულმა ვებგვერდმა ქართველის თამაში 7 ბალით შეაფასა.

guardian: პაოლო მალდინის არყოფნაში საკითხავი იყო, როგორ ითამაშებდა მისი მემკვიდრე კახა კალაძე. მან და ალესანდრო ნესტამ მანჩესტერელთა შეტევის ლიდერ უეინ რუნის მცირეოდენი შანსიც არ მისცეს.

sportinglife.com: კახა კალაძემ კარგად გაართვა თავი საქმეს. „მილანის“ მცველის თამაში კითხვის ნიშანს არ ტოვებდა. იმის გარდა, რომ მეწყვილესთან ერთად უეინ რუნი გაანეიტრალა, 55-ე წუთზე კრიშტიანუ რონალდუს მეტად საშიში დარტყმაც გააუვნებლა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ლიგა
### 30-ე ტური

გაგრა 5:0 ჩიხურა 2
ამერი 2 5:1 სპარტაკი
რაჭა 2:2 მგლები
ზესტაფონი 2 3:1 ვიტ ჯორჯია 2
მესხეთი 8:1 გურია
ნ. დინამოელი 1:3 მეშაქრე
მერცხალი 1:1 ოლიმპი
დინამო 2 0:2 მეშახტე
მაღაროელი 2:0 სამტრედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 30 | 22 | 3 | 5 | 52:21 | 69 |
| მესხეთი | 29 | 20 | 4 | 5 | 59:17 | 64 |
| მეშაქრე | 30 | 14 | 9 | 7 | 38:26 | 51 |
| გაგრა | 30 | 15 | 5 | 10 | 46:34 | 50 |
| მაღაროელი | 30 | 14 | 8 | 8 | 43:29 | 50 |
| ამერი 2 | 30 | 13 | 10 | 7 | 51:34 | 49 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 30 | 14 | 6 | 10 | 51:28 | 48 |
| ოლიმპი (თბ) | 30 | 13 | 8 | 9 | 49:33 | 47 |
| ნ. დინამოელი | 29 | 13 | 4 | 12 | 45:43 | 43 |
| სამტრედია | 30 | 11 | 8 | 11 | 28:38 | 41 |
| მეშახტე | 30 | 11 | 6 | 13 | 43:38 | 39 |
| ზესტაფონი 2 | 30 | 9 | 10 | 11 | 28:31 | 37 |
| დინამო 2 | 30 | 9 | 9 | 12 | 48:34 | 36 |
| რაჭა | 29 | 7 | 11 | 11 | 29:42 | 32 |
| ჩიხურა 2 | 30 | 8 | 4 | 18 | 25:56 | 28 |
| სპარტაკი | 29 | 7 | 4 | 18 | 17:43 | 25 |
| გურია | 30 | 6 | 6 | 18 | 29:70 | 24 |
| მერცხალი | 30 | 2 | 5 | 23 | 20:84 | 11 |

# მესხები უმაღლესში

**მოსალოდნელი** იყო და მოხდა: „მესხეთი“ უმაღლეს ლიგაშია. ახალციხელებს აქამდე არასდროს ჰყოლიათ გუნდი უმაღლესში.

„მესხეთი“ უმაღლეს ლიგაში ლანჩხუთის „გურიასთან“ გუშინდელი 8:1-ით გადავიდა და სადაც სამცხელთა ვთქვით, გურულებისაც უნდა ვახსენოთ. ამ მხარის ერთი გუნდი, ოზურგეთის „მერცხალი“ უკვე გავარდნილია რეგიონულ ლიგაში და სასწაული უნდა მოხდეს, ლანჩხუთელებიც ოზურგეთელთა გზას არ გაუყვნენ. არადა, როგორი საქმეა — საქართველოს თასის პირველი მფლობელი, საკავშირო უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი გუნდი პირველი ლიგიდანაც ვარდება...

საპლეიოფო მესამე ადგილისთვის კი ბრძოლა ჯერაც წინაა. „მეშაქრეს“, „გაგრას“ და „მაღაროელს“ თანაბარი შანსები აქვთ, გადათამაშებაში მოიპოვონ უმაღლესი ლიგის საგზური.

მომდევნო ტურში „მაღაროელი“ — „გაგრაა“ და ცხრილში ჩახედვით იოლად მიხვდებით ამ მატჩის მნიშვნელობას.

# თურმანიძე მალამოა?

**საჩხერის** „ჩიხურა“ შაბათს „ბორჯომს“ უმასპინძლებს. ზემოიმერლებისთვის ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. „ჩიხურა“ ბოლოდან მესამე ადგილზეა და თუ უნდა, საპლეიოფო გაწამაწიას თავი აარიდოს, კურორტელებს აუცილებლად უნდა მოუგოს. „ბორჯომთან“ შეხვედრაში მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი ექნება ვახტანგ თურმანიძეს, რომელიც „ჩიხურაში“ ჯერ მოთამაშემწვრთნელი იყო, ბოლოს კი ხვიჩა ქასრაშვილის თანაშემწე. ერთი კვირაა, ქასრაშვილმა გუნდი დატოვა და საჩხერული კლუბის ხელმძღვანელების თხოვნის მიუხედავად, მიბრუნებას არ აპირებს. უმწვრთნელოდ დარჩენილი გუნდი მის თანაშემწეს ჩააბარეს, თუმცა რამდენი ხნით, ჯერ უცნობია.

— „ბორჯომთან“ თამაშისთვის გუნდს მე გავიყვან, მაგრამ შემდეგ რა იქნება, არ ვიცი. შექმნილ ვითარებაზე კლუბის ხელმძღვანელობა იმსჯელებს. მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, გუნდი ჩვეულად ემზადება და უმაღლესში დასარჩენად იბრძოლებს“ — გვითხრა თურმანიძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჰართსი და გოგუა შეიძლება აღდგეს



**გეხსომებათ,** როგორ დაიტანჯა გოგიტა გოგუა ამ ზამთარს სატრანსფერო რია-რიაში. საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი თითქმის უკვე გადასული იყო შოტლანდიურ „ჰართსში“ და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორიოდ დღით ადრე აღმოჩნდა, რომ შოტლანდიაში სამუშაო ვიზას არ აძლევდნენ.

მაშინ გოგიტას ტრანსფერი საქართველოს ნაკრების დაბალმა რეიტინგმა დალუქა და „ჰართსს“ გასაჩივრების დროც არ დარჩა. ედინბურგული კლუბის მფლობელი ვლადიმირ რომანოვი და მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი ტრანსფერის ჩაშლით გაწბილებულები დარჩნენ, თუმცა რომანოვმა მაშინაც თქვა, გოგუას გადაბირებას კიდევ ვეცდებითო.

გუშინ „ედინბურგ ივნინგ ნიუსმა“ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: რომანოვი ზაფხულში დიდი ფულის გაღებას აპირებს, პირველ რიგში კი მეკარის, საყრდენი ნახევარმცველისა და თავდამსხმელის ყიდვა სურსო. იქვე ნახსენებია გოგუაც — „ჰართსი“ და რომანოვი „სატურნიდან“ აპირებდნენ ქართველის გადაბირებასო.

23 წლის გოგუა „სატურნში“ რეგულარულად თამაშობს და მწვრთნელის ნდობა არ აკლია, თუმცა დასავლეთ ევროპაში თამაში რომ სურს, ამას არც მალავს.

**ილია ნანობაშვილი**

# მაღრაძე კვიპროსში ბრუნდებაო



**ბერძნული** „ქსანთის“ მცველი ლევან მაღრაძე შეიძლება კვიპროსში დაბრუნდეს — მისით ნიქოზიის „ომონიაა“ დაინტერესებული. 29 წლის მაღრაძე „ქსანთის“ ძირითადში მუდმივად თამაშობს და ცოტა უცნაური იქნება, გაცილებით სუსტ ჩემპიონატში რომ გადავიდეს, თუმცა ლევანს თავის კლუბთან კონტრაქტი ეწურება და ტრანსფერიც ამიტომ მოჩანს რეალურად.

„ომონია“ კვიპროსის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, თუმცა წლეულს მეოთხე ადგილზეა და გვარიანად ჩამორჩება ლიდერ „აპოელს“. მაღრაძეს კვიპროსზე აელ-ში და თუმურ ქეცბაიას „ანართოსისში“ უთამაშია.

**ილია ნანობაშვილი**


დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს
გამოიცანი თერთმეტი მატჩი
მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი 2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდამჭერი
ოლიმპი
სარბიელი


05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ბორჯომი | კახეთი-სიონი |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | მაღაროელი-გაგრა |
| ოლიმპი-დინამო (თბ) | ზენიტი-კრილია სოვეტოვი |
| მერანი-დილა | მილანი-ფიორენტინა |
| ლოკომოტივი-ამერი | სპარტაკი (მოს)-რუბინი |
| ზესტაფონი-ტორპედო | |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**მილანი (იტალია) 3:0 მანჩესტერი (ინგლისი) (2:3)**

1:0 კაკა (11), 2:0 ზეედორფი (30), 3:0 ჯილარდინო (78)

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო (კაფუ 84), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა (ფავალი 86), ინძაგი (ჯილარდინო 66)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში (საა 77), ბრაუნი, ვიდიჩი, ჰაინცე, ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი, რონალდუ, გიგზი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ამბროზინი (75), გატუზო (83), რონალდუ (84)

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)

82 955 მაყურებელი



# დიდი კარლო გასახდელში დაპატარავდა

**გახარებული** კარლო ანჩელოტი გასახდელში თურმე ბალღივით ხტოდა.

„ემოციებით იყო ოთახი დატვირთული და არავის გაჰკვირვებია მისი საქციელი" — სიცილით ამბობდა ნამატჩევს სილვიო ბერლუსკონი.

ოთხჯერ (ორჯერ მერვედფინალში და ორჯერ ნახევარფინალში) გადაეყარნენ ერთმანეთს „მანჩესტერი" და „მილანი" ჩემპიონთა თასზე — „შავ-წითლებმა" ერთხელაც არ გაახარეს ინგლისური კლუბი.

„ეს თამაში რომ ვერ მოგვეგო, სალამოსვე მოვხსნიდი მწვრთნელს, მაგრამ გადარჩა — თქვა „მილანის" პრეზიდენტმა — ახლა კიდევ რამდენიმე წლით დავტოვებ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, მოხსნას არ ვაპირებდი. ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ და „მილანის" მთელი ძალა გამოჩნდა".

სილვიო ბერლუსკონის არაერთხელ გაუკრიტიკებია ანჩელოტი ეული ფორვარდით თამაშის გამო, მაგრამ ამჯერად საამისო მიზეზი არ ჰქონია: „მილანი" ორი თავდამსხმელით იყო. კაკა თავისი ადგილიდან 20 მეტრით წინაა ხოლმე, ჩემპიონთა ლიგაში 10 გოლი შეაგდო და ვინ იტყვის, რომ ის ნახევარმცველია? ფორვარდების უკან მისი ადგილი კლარენს ზეედორფმა დაიკავა.

„ახლა ფინალი გველის „ლივერპულთან". ყველას რევანში გვწყურია, რადგან სტამბოლური შოკიდან ჯერაც ვერ გამოვსულვართ" — პრეზიდენტმა ისიც თქვა, ფეხბურთელებს რჩევა-დარიგებას და ყურადღებას არასოდეს ვაკლებო — „დიდას მედიაში ძალიან აკრიტიკებდნენ, მე კი ამ კვირაში დავიბარე და ველაპარაკე. დავარწმუნე, რომ მას ვენდობით და კლუბი ყოველთვის მხარში დაუდგება. კლარენს ზეედორფიც დავარიგე და ავუხსენი, კაკას ადგილი უნდა დაიკავო და კარში ხშირად ურტყა-მეთქი. დამიჯერა და ჩემმა რჩევამ გაამართლა. ნამატჩევს მოვიდა, მადლობა გადამიხადა და მითხრა, ამ გოლის ხუთი პროცენტი თქვენ გეკუთვნითო".

კარლო ანჩელოტი: „პირველი ტაიმი ფანტასტიკური იყო, ისეთი, როგორსაც ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. 45 წუთში გავარკვიეთ ყველაფერი. ფინალში გასვლა მით უფრო სასიხარულოა, რადგან ძალიან მძიმე სეზონი გვქონდა კალჩოპოლის გამო და ბევრმაც ჩამოგვწერა".

ანჩელოტის ხელში გუნდი ხუთ წელიწადში მესამედ გავიდა ფინალში.

„არიან გუნდები, რომლებსაც სათასო ტურნირებში თამაში უკეთ შეუძლიათ. ჯერ კიდევ მატჩამდე ვთქვი, რომ ასეთი შეხვედრებისთვის „მილანზე" კარგად მსოფლიოში ვერც ერთი გუნდი ვერ ემზადება. ჩვენ ტაქტიკურად ვაჯობეთ „მანჩესტერს". მათ ნახევარმცველებს ჩემებმა ფეხი არ გაატოკებინეს" — განაცხადა „მილანის" მწვრთნელმა.

ორ მატჩში სამი გოლის გამტანმა კაკამ პირადი დუელი მოუგო კრიშტიანუ რონალდუს. ამ ფეხბურთელებს „ოქროს ბურთის" მთავარ კანდიდატებად მიიჩნევენ.

კაკამ განაცხადა: „ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვარ. შარშანდელთან შედარებით მოვუმატე, მაგრამ რაღაც-რაღაცები დასახვეწი მაქვს, რათა უფრო სრულყოფილი გავხდე. ადრე ფორვარდების უკან თამაში მერჩივნა, თუმც ნელ-ნელა თვითონ ვყალიბდები თავდამსხმელად".

კაკამ ლიგაში 10 გოლი გაიტანა და ორიოდა უკლია რუუდ ვან ნისტელროის რეკორდის გასამეორებლად: „ორზე მეტს თუ შევაგდებ ფინალში და საუკეთესო მეგოლე გავხდები, გადასარევი იქნება, მაგრამ ჩემთვის მთავარი „მილანის" გამარჯვებაა".

ჩემპიონთა ლიგაში მეორე გოლი მიითვალა ალბერტო ჯილარდინომ და კრიტიკოსები ცოტა ხნით გააჩუმა: „მერვედფინალიდან ვოცნებობდი, რომ ერთი მაინც გამეტანა და დარწმუნებული ვიყავი, ჩემი დროც მოვიდოდა. ძალიან მიხარია, რადგან ეს ჩემთვის პირველი ფინალი იქნება.

გაბრაზებულმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „ჩემმა გუნდმა თამაშის დასაწყისშივე თვითონ გამოიჭრა ყელი. ორი გოლი ძალიან იოლად გაგვიტანეს, ასეთი დონის მატჩებში კი დაცვას მეტი მოეთხოვება. „მილანი" უკეთ აგორებდა ბურთს, პრესინგიც კარგად შეასრულა და მოგებას იმსახურებდა. გული იმაზე მწყდება, რომ ამ მატჩამდე მშვენივრად ვიარეთ. „მილანმა" ფიზიკურადაც გვაჯობა, რადგან მათ ფეხბურთელების დასვენების საშუალება ჰქონდათ, ჩვენ კი — არა. მიუხედავად ამისა, ჩემი გუნდისგან მაინც მეტს ველოდი. კრიშტიანუ რონალდუმ ცუდად ითამაშა და ეს თვითონაც იცის. სიმართლე ისაა, რომ „მანჩესტერი" ამ მატჩში გოლის გამტან გუნდს არ ჰგავდა, საუცხოო იყო კაკა — ის ბრწყინვალე ფეხბურთელია. ასეთი მოთამაშეებისთვის პერსონალური მცველის მიჩენა ჩვენი სტილი არაა, რადგან ერთი ერთზე კაკა ნებისმიერს აჯობებს. ზოგადად კი, „მილანი" „მანჩესტერზე" ბევრად გამოცდილია. ფეხბურთელები უკვე დიდი ხანია, ერთად თამაშობენ, რაც ასეთ მატჩებში ძალიან მნიშვნელოვანია. შეხედეთ ზეედორფს, მას სამ სხვადასხვა კლუბში მოუგია ჩემპიონთა თასი".

„მანჩესტერის" ყოფილმა მწვრთნელმა ტომი დოჰერტიმ თქვა, ძირითად შემადგენლობაში ნემანია ვიდიჩს არ უნდა ეთამაშა და ფერგიუსონმა მიჰქარაო...

„ვიდიჩს ტრავმის გამო თვეზე მეტი გაუცდა და მზად არ იყო. ფერგიუსონი შეცდა და შედეგად ნახევარ საათში ორი გოლი გაუშვეს. „მილანი" აშკარად უფრო მაღალი კლასის გუნდია. „ოლდ ტრაფორდზე" ორი რომ გაგვიტანეს, ეს მაშინვე გამოჩნდა".

**მაშა ხუციშვილი**



ინერტულმა კრიშტიანუ რონალდუმ დიდას ამაზე მეტი პრობლემა ვერ შეუქმნა



ალესანდრო ნესტა, მასიმო ამბროზინი და კახა კალაძე

AFP

# რა დარჩა კვადრო ოცნებიდან?



## ჟოზე მაურინიუ: არ მოგბეზრდათ ჩემს წასვლაზე ლაპარაკი?

**ჟოზე მაურინიუ** ამ ზაფხულს „ჩელსიში“ ცვლილებებს ელის, ოღონდ ამბობს, რომ თავად ეს ცვლილებები არ შეეხება.

არადა, ლურჯებს საშინელი ოთხი დღე ჰქონდათ — ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონის ტიტული, ფაქტობრივად, ჩააბარეს, ჩემპიონთა ლიგაში კი მათ ნაცვლად ფინალში „ლივერპული“ გავიდა.

რაღა დარჩა იმ „კვადროპლიდან“, რომელზეც ცოტა ხნის წინ ამდენს ლაპარაკობდნენ? ჯერჯერობით მხოლოდ უკვე მოპოვებული „კარლინგის“ თასი, ხოლო თუ 19 მაისს ლონდონელებმა მანჩესტერელებთან ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალშიც წააგეს, მაშინ ჯერჯერობით კი არა, მხოლოდ და მხოლოდ „კარლინგის“ თასი, ანუ ყველაზე დაბალი ხარისხის ჯილდო.

და რა არის ეს კვადროპლი? რა და, ასე ინგლისური სპორტული პრესა ერთ სეზონში ოთხი ჯილდოს — ფეხბურთის ასოციაციის და „კარლინგის“ თასები, ჩემპიონთა ლიგა და პრემიერლიგის ტიტული — მოგებას ეძახის. კვადრო ხომ ოთხია.

სხვათა შორის, პორტუგალიელ მემკვიდრეს „ჩელსის“ წინა მწვრთნელმა იტალიელმა კლაუდიო რანიერიმაც მიაწვდინა ხმა, ეგ რომან აბრამოვიჩი (ლონდონელთა რუს მეპატრონეზეა ლაპარაკი) ანგარიშს მხოლოდ ტიტულებს უწევს და ფრთხილად იყავი, თანამდებობიდან არ გაგიშვასო.

ნუთუ, მაურინიუს თანამდებობიდან გაშვება ისევ თემაა? განა, სულ რაღაც ორი კვირის წინ მან კლუბის შეფებისგან, კერძოდ კი, აღმასრულებელი დირექტორისგან პიტერ კინიონისგან გარანტია არ მიიღო, რომ 2010 წლამდე მისი ხელის მხლებელი აღარავინ იყო?

„ჭორები დადის? კიდევ? კი მაგრამ, მე მეგონა, რომ თემა ამოწურულია — უთხრა მაურინიუმ ჟურნალისტებს, რომელთაც „ჩელსის“ „ლივერპულთან“ მარცხის შემდეგ ფანტაზია ახლებურად აუთამაშდათ — სამშაბათს გული თუ გამისკდა? რა თქმა უნდა. ისეთი პენალტების სერიის შემდეგ, ცხადია, გული გამისკდებოდა და გამიტყდებოდა. ამ წუთას, აბა, მეტი რა ვთქვა. თუმცა ჩვენ, ბუნებრივია, წინ წავალთ. ცხოვრებაში ყოველთვის არის მორიგი შანსი, მორიგი გამოწვევა. მე „ჩელსის“ ფანებს კარგად ვიცნობ, ვიცი მათი გულის ამბავი. ვიცი, ისინი დღეს იმედგაცრუებულნი არიან, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თავიანთი გუნდის საოცარ ფეხბურთელებს მომავალშიც ძველებური შემართებით დაუჭერენ მხარს“.

შემდეგ კი მაურინიუმ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი სეზონიდან სამ ახალ ფეხბურთელს მიიწვევს გუნდში.

„მომავალ სეზონში ჩვენი ფეხბურთელების ძირითადი ჯგუფი ოდნავ განსხვავებული იქნება, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ოდნავ. გვინდა, დღევანდელი ჩელსელების მთავარი ბირთვი ჩვენთან დარჩეს, ორი-სამი ცვლილება კი ასეთი კლუბისთვის სრულიად ნორმალურია. არა, არ მგონია, რომ ფეხბურთელების რაოდენობა უნდა გავზარდოთ. რა საჭიროა, ვითომ მომავალ სეზონში 20 ტრავმირებული გვეყოლება? არ მინდა ამის დაჯერება“.

მოგეხსენებათ, ჟოზე მაურინიუმ ჩემპიონთა ლიგაში 2004 წელს „პორტუს“ მწვრთნელის რანგში გაიმარჯვა, თუმცა ამან არ დააკმაყოფილა და მას მერე გულში კვლავ ამ ჯილდოს აღმართვა აქვს ამოჭრილი.

„ჩვენ მეტი და მეტი ჯილდო უნდა მოვიპოვოთ, ჩემპიონთა ლიგის თასი კი ძალიან მნიშვნელოვანია. მე თუ მკითხავთ, ჩვენ ფინალში გასვლას ვიმსახურებდით. ბოლო ოთხი სეზონიდან სამში ლონდონის „ჩელსის“ ფინალამდე ერთი ნაბიჯილა ჰქონდა დარჩენილი და ეს ნაბიჯი ვერა და ვერ გადალახა“.

[illegible] კარგად წარმოუდგენია, რა დღეში არიან მისი ფეხბურთელები, თუმცა სეზონი არ დამთავრებულა, წინ პრემიერლიგის ტურია, ლონდონელები ისეთ სერიოზულ მეტოქეს ეთამაშებიან, როგორიც „არსენალია“.

„ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ უტეხი სულის ხალხი ვართ. უტეხი სული რომ გვაქვს, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ტრავმებით დამძიმებული ურთულესი სეზონი გვქონდა, მაგრამ მაინც „კვადროპლისთვის“ ვიბრძოდით. საერთოდ, „კვადროპლი“ ძალიან ძნელი მისაღწევია და მართალი გითხრათ, თავიდან ჩვენ ამაზე არც ვფიქრობდით, უბრალოდ, ყოველ კონკრეტულ მატჩში გამარჯვებას ვცდილობდით“.

გულგატეხილ თანაგუნდელებს ახალი ბრძოლებისკენ უკრაინელი ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკოც მოუწოდებს...

„ძალიან მნიშვნელოვანია, გუნდმა უკიდურესი იმედგაცრუების ჟამს ახალი მიზნებისთვის თავგამოდებით იბრძოლოს — თქვა ყოფილმა მილანელმა — ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა და გვყავს კიდევაც, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ლატარიაში არ გაგვიმართლა. ეს იყო შეხვედრა, რომელშიც ორივე გუნდმა კარგად ითამაშა და ორივეს შეეძლო მოგება. სამწუხაროდ, მოწინააღმდეგემ გაიმარჯვა“.

**ბაპუნა ბედია**

---

## ვილია ძვირია

**ბრიტანული** „სანი“ ამტკიცებს, რომ ესპანური „ვალენსია“ დავიდ ვილიას გაყიდვას დათანხმდა — ესპანელი ფორვარდის სანაცვლოდ „ჩელსი“ 45 მილიონ გირვანქას იხდის. „ღამურების“ პრეზიდენტ ხუან სოლერს კარგად ესმის, რომ 25 წლის თავდამსხმელში მეტს არავინ გაიღებს.

ვილიას „ჩელსიში“ ორჯერ მეტ ჯამაგირს მისცემენ, ვიდრე „ვალენსიაში“ აქვს.

ფეხბურთელის შეძენას „ლივერპულიც“ ცდილობდა, რომლის მთავარი სკაუტი დუარდო მასია გასულ უქმეებზე ვალენსიაში მოსალაპარაკებლად ყოფილა.

## სხვადასხვა ტონი

**იტალიური** „ლა ნაციონე“ ამტიცებს, რომ ლუკა ტონისთვის ბრძოლაში „ჩელსიც“ ჩაერთო და „ფიორენტინას“ თავდამსხმელის სანაცვლოდ 14 მილიონ გირვანქას უხდის.

მსოფლიოს ჩემპიონ ფეხბურთელს მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა, „ფიორენტინას“ კი სალიგო ადგილის მოპოვების მცირე შანსიღა აქვს.

ამასწინათ გერმანული მედია ირწმუნებოდა, ტონი მიუნხენის „ბაიერნმა“ იყიდაო, მაგრამ „იების“ დირექტორმა პანტალეო კორვინომ ამას მონაჩმახი უწოდა, თუმცა დაადასტურა, რომ „ინტერმა“ და „ბაიერნმა“ ტონის ტრანსფერზე ოფიციალურად მიმართეს.

## ალარდაისი იკაჭკაჭებს

**„ბოლტონის“** ყოფილი თავკაცი სემ ალარდაისი 14 მაისს პრემიერლიგის დასრულებისთანავე „ნიუკასლს“ ჩაიბარებს“ — წერს „სანი“.

სემ ალარდაისი ერთი კვირის წინ, „ჩელსისთან“ მატჩის (2:2) შემდეგ თავისი ნებით გადადგა. მის კონტრაქტში აღნიშნული იყო, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე სხვა გუნდში გადასვლის უფლება არ აქვს, ამიტომაც უნდა მოიცადოს 14 მაისამდე, თორემ კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

„ნიუკასლის“ პრეზიდენტი ფრედი შეფერდი ამჟამინდელი მწვრთნელით გლენ როედერით უკმაყოფილოა, რადგან მან გუნდი უეფას თასის მეოთხედფინალში ვერ გაიყვანა და პრემიერლიგაშიც ცხრილის ქვედა ნახევარშია.

ალარდაისს „ნიუკასლი“ სამი წლის წინაც ეპატიჟებოდა, როცა „კაჭკაჭებიდან“ ბობი რობსონი წავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

---

## შევჩენკომ დეილი მირორს «ჩამშვები შევა» არ შეარჩინა



**ანდრეი შევჩენკომ** ცილისმწამებლებს უჩივლა და სასამართლო მოიგო. მას ოფიციალურად მოუბოდიშებენ და მორალურ ზარალსაც გირვანქებით აუნაზღაურებენ.

„დეილი მირორმა“ 16 იანვარს გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „შევა ჩამშვებია“, რომელშიც მას მაბეზღარობას სწამებდნენ — გუნდის შიდა ამბებს რომან აბრამოვიჩს უყვება და ფეხბურთელები არ ენდობიანო.

მეორე დღეს კიდევ ერთ წერილში ეწერა, რომ შევა მაურინიუს ვერ იტანს და აბრამოვიჩს პორტუგალიელის ნაცვლად კარლო ანჩელოტის მიყვანა სთხოვა. ფეხბურთელმა „სანთან“ და „თაიმსთან“ ინტერვიუებში „დეილი მირორში“ გამოქვეყნებულ ამბებს ჭორი უწოდა და მირორელებმაც 9 თებერვალს საბოდიშო წერილი დაბეჭდეს.

ერთი თვის შემდეგ „დეილი მირორმა“ ერთ-ერთი გერმანული ვებგვერდიდან შევჩენკოს ინტერვიუ გადაბეჭდა, რომელშიც უკრაინელი მაურინიუს აძაგებდა, უკეთესი მწვრთნელები მინახავსო.

სასამართლომ „დეილი მირორს“ ბოდიში მეორედაც მოახდევინა და ფეხბურთელისთვის ზარალის ანაზღაურებაც დააკისრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სილვიოს ზაფხული: ტერი პლუს ბუფონი

**სილვიო ბერლუსკონიმ** განაცხადა, ამ ზაფხულს ჯონ ტერის და ჯანლუიჯი ბუფონს ვიყიდითო. „გარდიანი“ და „სანი“ ტერის ამბავს ადასტურებენ — ამბობენ, რომ „მილანმა“ ინგლისელი მცველის ფასთან დაკავშირებით ოფიციალურად მიმართა „ჩელსის“. „შავ-წითლები“ ფეხბურთელს კვირაში 120 ათას გირვანქას ჰპირდებიან.





ერთი თვის წინ „ჩელსიმ“ ტერის ხუთწლიანი კონტრაქტი და 110 ათასი შესთავაზა, ფეხბურთელს კი იმდენივე სურს, რამდენსაც მიხაელ ბალაკი და ანდრეი შევჩენკო იღებენ — ამ ორის ხელფასი კვირაში 212 ათასია. კლუბმა ჯონ ტერის ასეთ ჯამაგირზე უარი უთხრა. მისი კონტრაქტი 2009-ში იწურება და ზაფხულში „ჩელსი“ მცველს თუ არ გაყიდის, მომავალ წელს მისი შეძენა სხვებს 10 მილიონ გირვანქად შეეძლებათ, ამჟამად კი ფასი 25 მილიონია.

რაც შეეხება ბუფონს, „იუვენტუსის“ ოფიციალური განცხადებით, მეკარე არ გაიყიდება, მით უმეტეს, „მილანში“ ან „ინტერში“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საბრალო მამა და ბედნიერი შვილი

## მიგელის ძის საოცარი და საშინელი ღამე: როცა პეპე რეინა პენალტებს იღებდა, მის სახლ-კარს ძარცვავდნენ და მანქანას წვავდნენ



### პეპე და ქურდები

**ვინ** იყო ის კაცი, რომელმაც სამშაბათს „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა?

პეპე რეინა!

და ვინ იყო ის კაცი, რომელსაც, მხატვრულად რომ ვთქვათ, სწორედ იმ წუთებში ქურდებმა ავტომობილი მოჰპარეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ავარია შეემთხვათ და ნაფერებ-ნალოლიავები „პორში“ სიგარეტის დაჭმუჭნულ ნამწვავს დაამსგავსეს?

პეპე რეინა!

დიახ, ეს ყველაფერი ხუმრობა არ გეგონოთ. სწორედ მაშინ, როდესაც ლივერპულელთა 24 წლის ესპანელი გოლკიპერი „ჩელსის“ ვარსკვლავთა პენალტების მოსაგერიებლად ემზადებოდა (უფრო ზუსტად კი, სალამოს 7 საათისთვის), მის სახლს ქურდები ესტუმრნენ და როდესაც ნაჯაფარი და გამარჯვებული რეინა „ენფილდ როუდიდან“ შინ დაბრუნდა — ღამე იყო, პირველს თხუთმეტი წუთი აკლდა — 900 ათას გირვანქად შეძენილი სახლი გაძარცვული დაუხვდა. მოპარულ ნივთებს შორის იყო 100 ათას გირვანქად შეძენილი „პორში კაიენი“, ოქროულობა, „ბენგ ენდ ოლაფსენის“ ცენტრი (დანიური ფირმაა, აუდიო-ვიდეო აპარატურასა და ტელეფონებს აწარმოებს) და პირადი დოკუმენტები.

„პორში კაიენი“ პოლიციამ დილის შვიდის ნახევარზე ქალაქ ლივერპულის ვესტ დერბის რაიონში დამტვრეულ-დამწვარი იპოვა.

კიდევ კარგი, იმ დროს, როდესაც პეპე რეინას სახლში ქურდები ფათურობდნენ, შინ არც მეუღლე იოლანდა გახლდათ და არც სამი თვის გრესია.

ბუნებრივია, იმ ღამით პეპე რეინას თვალი არ მოუხუჭავს.

და კიდევ: მერსისაიდელ ქურდებში, როგორც ჩანს, „ლივერპულის“ ფეხბურთელების გაქურდვა — ევერტონელებზე ვერაფერს მოგახსენებთ — კარგ ტონად ითვლება: 2006 წელს ისინი ირჟი დუდეკს „ეწვივნენ“, გასულ ოქტომბერს კი პიტერ კრაუჩსა და დანიელ აგერს.

### პეპე და მამა

„შევეცდები, მამაჩემი დავიყოლიო და ათენში, ჩემპიონთა ლიგის ფინალის სანახავად წავიყვანო, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩემს თამაშს რომ უყურებს, ისე ნერვიულობს, რომ ამის გაკეთება საშიშიც კია“ — უთხრა გაქურდულმა რეინამ ჟურნალისტებს.

იცნობდეთ, სინიორ მიგელ რეინა, ესპანეთის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი, რომელსაც 1974 წელს ასეთი რამ შეემთხვა: ჩემპიონთა თასის ფინალში „ატლეტიკო მადრიდი“ მიუნხენის „ბაიერნს“ შეხვდა. დამატებითი დროის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ესპანელთა ეროვნული გუნდის დღევანდელმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა და საქმის გამარჯვებამდე მიყვანას ამ 7 წუთის გაძლებაღა უნდოდა. მადრიდელებმა 6 წუთი და ორმოცდარაღაც წამი გაძლეს, სულ ბოლო წამებზე კი ჰანს გეორგ შვარცენბეკის ძალიან შორიდან დარტყმული ბურთი მამა რეინამ რაღაცნაირად გაუშვა და...

ორი დღის მერე დანიშნულ გადათამაშებას ანერვიულებულ ესპანელებს იმტაზე მოსული გერმანელები რომ მოუგებდნენ, რაღა უნდა ლაპარაკი — 4:0.

„ხალხს სწორედ იმ გოლის გამო ვახსოვარ — სინანულით ყვება მამა რეინა — დამატებითი დროის სულ ბოლო წამი იყო, როდესაც 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი გავუშვი. ვისღა ახსოვს, ორ ჩემპიონატში ყველა მეკარეზე ნაკლები რომ მქონდა გაშვებული, ესპანეთის ნაკრების კარს საიმედოდ რომ ვიცავდი, სამჯერ ქვეყნის ჩემპიონი რომ გავხდი და ორჯერ თასი რომ მოვიგე. დღესაც კი, მადრიდის ქუჩებში რომ გახვიდეთ და მიგელ რეინას შესახებ რაიმე იკითხოთ, იმ გოლის გამო დამიწყებენ გინებას“.

ჰოდა, რაა გასაკვირი, ასეთი ისტორიის მქონე მამა შვილის თამაშების ცქერას ინფარქტის პირას რომ მიჰყავდეს? ჰოდა, თურმე, როდესაც „ლივერპული“ თამაშობს, სინიორ მიგელ რეინას სტადიონის გაგონებაც კი არ უნდა, სახლში იკეტება და წარმოუდგენლად ნერვიულობს.

„ჩელსისთან“ თამაშის დღეს რაღა მოხდა? რა და, მთელი ოჯახი სინიორ რეინასთან, ბარსელონაში შეიკრიბა, ტელევიზორთან.

„მთელი ოჯახი ჩემთან იყო და თამაშის შემდეგ ყველანი ვტიროდით — თქვა 1974 წლის ანტიგმირმა — ახლაც შინ დავრჩები. ვიცი, ბევრი მთხოვს ფინალის ბილეთს, ზოგს ალბათ ვუშოვი კიდეც, მაგრამ თავად შინიდან ფეხსაც არ მოვიცვლი. თუ რაიმეზე გავბრაზდები, მიჯობს, მარტო, ჩემთვის გავბრაზდე. სხვათა შორის, „ჩელსისთან“ შეხვედრის დროს მთელი მატჩის განმავლობაში ვნერვიულობდი, პენალტების წინ კი დავწყნარდი, რადგან ვიცი, რომ პეპე პენალტებში ძლიერია. „ვილიარეალში“ რომ თამაშობდა, ერთ სეზონში რვა თუ ცხრა პენალტი მოიგერია“.

ხოლო კითხვაზე, როგორი მეკარეა მისი ვაჟი, სინიორ მიგელ რეინამ ასე უპასუხა:

„20 წელიწადი კარში ვიდექი. კარგა ხანს ესპანეთის უმაღლეს დივიზიონსა და ნაკრებში, საერთაშორისო დონეზე ვითამაშე, ასე რომ, ამ საქმისა ბევრი რამ გამეგება და მინდა დაგარწმუნოთ, პეპე მსოფლიოს სამ საუკეთესო მეკარეს შორის არის“.

ახლა კი ვნახოთ, რას ამბობს პეპე მამაზე:

„ის ავადმყოფობდა, მაგრამ სერიოზული არაფერია, უბრალოდ, მამაჩემი ძალიან ნერვიული ადამიანია. იცით, როდის ჩამოვიდა ლივერპულში ჩემი თამაშის სანახავად? გასულ თვეში, „პსვ ეინდჰოვენთან“ რომ ვთამაშობდით და ისიც იმიტომ, რომ პირველი შეხვედრა სტუმრად 3:0 გვქონდა მოგებული“.

და მამის „იმ“ თამაშზე რაღას ამბობს „ლივერპულის“ ახლანდელი გოლკიპერი?

„ის მატჩი ჩემს დაბადებამდე იყო და მხოლოდ ვიდეოზე მაქვს ჩანაწერი ნანახი. რა გითხრათ, ვიცი, რომ მამაჩემს ჩემპიონთა თასის ფინალში აქვს ნათამაშევი და ამიტომ ფინალი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება. თუ „ლივერპული“ მოიგებს, ვფიქრობ, მამა სხვანაირად გაიხარებს. ეს წარმატება მისთვის საგანგებო მნიშვნელობისა იქნება — ის მსოფლიოში ყველაზე ამაყი მამა შეიქნება. მე მეკარეობა სწორედ მამაჩემის გამო მაქვს სისხლში, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ექვსი ძმიდან გოლკიპერი მარტო მე გამოვედი...

პენალტები? პენალტებს რომ ვიგერიებ, ბუნებრივია, იღბლის ამბავია, მაგრამ მეკარეს ფეხბურთი უნდა უყვარდეს და სულ უნდა უყურებდეს, გარშემო რა ხდება. რაც მეტ ფეხბურთს უყურებ, მით მეტად ხვდები, რა სად და როდის უნდა გააკეთო“.

**პაპუნა ძედია**



პეპე და მიგელი








# მიდი, მოადე!
## ბარტონმა დაბო სპილოს დაამსგავსა

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტი“ ვარჯიშობდა. მწვრთნელმა შეგირდები ორად გაყო და ფეხბურთი ათამაშა — ჩვენში ამას ორკარას ეძახიან. ერთ გუნდში ინგლისელი ჯოი ბარტონი მოხვდა, მეორეში ფრანგი ოსმან დაბო. დაბოს გუნდი ბარტონისას უგებდა.

მერე?

მერე ის, რომ დაბოს თქმით, ბარტონმა ჯერ რაღაც-რუღაც ხრიკებს მიმართა, შემდეგ კი „თანასიტელს“, არც მეტი, არც ნაკლები, ეუხეშა. ნუ, უხეშობა ისეთი რამ არის, აბრაზებს კაცს — დაბომ ცოტა ხნის შემდეგ ხურდა დააბრუნა. ამან ბარტონი გინების ხასიათზე დააყენა და დაბომაც გინებითვე სცადა პასუხის გაცემა, მაგრამ, აბა, სად ინგლისელი რომ შეიგინება ინგლისურად და სად ფრანგი.

დაბომ, როგორც ამბობენ, ინგლისურად ყველა ცუდი სიტყვა არც იცის.

მერე?

მერე ის, რომ ფეხბურთელები, როგორც ეს ხშირად გვინახავს, ერთმანეთს გაეწველნენ, ცხვირები მიადეს და დაშორდნენ. დაბომ ინციდენტი ამოწურულად ჩათვალა და შემოტრიალდა.

შემოტრიალდაო...

ინგლისელი ელვისებურად გაისარჯა, დაბოს უკნიდან დაესხა და დასცა. ასეთი მოულოდნელი გაგრძელებით დაბნეული გონს ხომ უნდა მოხვიდე? დაბოც სწორედ ამას ცდილობდა, მაგრამ ვინ აცალა? ბარტონმა სამჯერ მაგრად გლოჯა სახეში.

„დილით რომ გავიღვიძე და სარკეში ჩავიხედე, სპილო გამახსენდა“ — თქვა საკუთარ თავზე ფრანგმა.

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა კი განაცხადა, რომ ეს ჩხუბი გუნდზე გავლენას არ იქონიებს.

ბარტონს ჯერ არაფერი უთქვამს...

**ბაბუნა ბედია**

# ლივერპულის პული
## ჯერარდმა და აგერმა ჩელსი ბილიარდში დაამარცხეს

„ლივერპული“ რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტია, ამაში მერსისაიდელთა დანიელ მცველ დანიელ აგერს ლომის წვლილი მიუძღვის. ლონდონის „ჩელსისთან“ ნახევარფინალის საპასუხო მატჩში ენფილდელებმა სწორედ მისი ბილიარდისებური გოლით მოიგეს ძირითად დროში და საბოლოოდ პენალტებში სძლიეს მეტოქეს. არადა, პირველ შეხვედრაში სწორედ აგერი მოატყუა ბავშვივით დიდიე დროგბამ, რის მერეც საგოლე პასი გაუკეთა ჯო კოულს და...



AFP

— რასაც გამარჯვების მერე გრძნობდით, ალბათ, სიტყვებით გადმოუცემელია...

— დიახ, ამ გრძნობას ვერაფერს შეადარებ და ვერ ახსნი. მთელი სტადიონი გუგუნებდა და თან დიდი ხანი გაგრძელდა ასე. მთლიანად ქალაქშიც ჟრიამული იყო. ფანები გავაბედნიერეთ და ამით უფრო დიდი სიამოვნება მივიღეთ.

— ეს გოლი თქვენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო?

— რასაკვირველია, ამ გოლმა ხომ ფინალში გაგვიყვანა. მით უმეტეს, მე მცველი ვარ და შეტევებში ხშირად არ ვერთვები.

— თქვენი სხვა გოლები გახსენდებათ?

— დიახ. ხშირად არა, მაგრამ გოლები გამაქვს ხოლმე, თან ლამაზებიც. მაგალითად, „პორტსმუთს“ 40 მეტრიდან გავუტანე — ამ გოლს თითქმის ყველა ინგლისური არხი ატრიალებდა და ტურის საუკეთესოდაც აღიარეს. ასე რომ, უფრო ლამაზი გოლებიც გამიტანია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი არც ერთი.

— ალბათ იმ ეპიზოდში მოულოდნელობის ეფექტმაც ითამაშა თავისი როლი...

— შესაძლოა, ასეც იყო. „ჩელსის“ მცველები ალბათ არ ელოდნენ, რომ ჯერარდი მე დამიგორებდა ბურთს. მათ ალბათ ეგონათ, იგი საჯარიმოდან კრაუჩის ან კუიტისკენ ჩააწოდებდა, მაგრამ...

— ამ გოლით პირველ მატჩში არადამაჯერებელი თამაშისთვის რეაბილიტაცია მოახდინეთ?

— იმედია, კი. თავადაც კარგად მესმოდა, რომ პირველი მატჩის წაგება დიდწილად ჩემი ბრალი იყო. სანამ გოლს გავუშვებდით, დროგბამ ჯერ სისწრაფეში მაჯობა, მერე კი პოზიციურადაც მომატყუა. ვიმედოვნებ, დანაშაული გამოვასწორე.

— მიუხედავად იმ შეცდომისა, რაფაელ ბენიტესს არც უფიქრია, რომ ძირითადი შემადგენლობიდან ამოევგდეთ...

— პირიქით, იგი მხარში მედგა და მითხრა, ის ეპიზოდი დამევიწყებინა, რათა ბოლომდე საპასუხო მატჩზე ვყოფილიყავი კონცენტრირებული. გოლის გაშვების უფლება აღარ გვქონდა, რადგან მერე სამის გატანა დაგვჭირდებოდა, ეს კი თითქმის შეუძლებელი რომ იყო, ვიცოდით. თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის კარგად დასრულდა და ახლა ფინალისთვის ვემზადებით.

# B დღე ინგლისისა და მაიკლისთვის



**გუშინდელ** „სარბიელში“ მაიკლ ოუენის შესახებ წაიკითხავდით: მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშავებული, ნაოპერაციევი და 11 თვის უთამაშებელი ნიუკასლელი თავდამსხმელი რამდენიმე დღის წინ, ორშაბათს, „რედინგთან“ შეხვედრაში მოედანს დაუბრუნდა და მყისვე ნაკრებში დაბრუნებაზეც დაიწყო ფიქრი.

და აი, ახალი ცნობა — 26 მაისს ინგლისელებმა, შესაძლოა, საგანგებოდ ოუენისთვის მოაწყონ B ნაკრების თამაში.

ამბობენ, რომ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალიდან ერთი კვირის შემდეგ დანიშნული ამ თამაშით ინგლისელ გულშემატკივარს თავისი საყვარელი ფეხბურთელის ნახვის საშუალება მიეცემა და ამასთან, ეს საკუთრივ ოუენისთვის იქნება ესტონელებთან ოფიციალური შეხვედრის წინ ვარჯიშის შესაძლებლობა.

რატომ გავუსვით თარიღებს ხაზი? საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისისა და ესტონეთის ნაკრებები 6 ივნისს ხვდებიან ერთმანეთს, ამ დროისთვის კი პრემიერლიგის პირველობა უკვე 24 დღის დამთავრებული იქნება, რაც ნაკრების თავკაც სტივ მაკლარენის არცთუ უსაფუძვლო ეჭვით, ფეხბურთელების ფორმაზე იმოქმედებს ცუდად. აქ ბუნებრივია, არ არის საუბარი „ლივერპულის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ჩელსის“ ინგლისელებზე, რომლებსაც წინ ჩემპიონთა ლიგისა და ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალები ელით.

**ბაბუნა ბედია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## კლარენს ზეედორფი

ნახევარმცველი

დაიბადა 1976 წლის 1 აპრილს პარამარიბოში

სიმაღლე: 1,77 მეტრი; წონა: 77 კგ

კარიერა: 1992-95 წლები — „აიაქსი“ (64 მატჩი, 11 გოლი), 1995-96 წლები — „სამპდორია“ (32 მატჩი, 3 გოლი), 1996-2000 წლები — „რეალი“ (121 მატჩი, 15 გოლი), 2000-02 წლები — „ინტერი“ (64 მატჩი, 8 გოლი), 2002 წლიდან — „მილანი“ (156 მატჩი, 22 გოლი)

1994 წლიდან თამაშობს ჰოლანდიის ნაკრებში (81 მატჩი, 11 გოლი)







## AUDI TT

გამოშვების თარიღი: 2007 წელი

სიგრძე: 4,041 მეტრი

სიგანე: 1,856 მეტრი

სიმაღლე: 1,346 მეტრი

წონა: 1 420 კგ

ცილინდრი: 6

ძრავის კუბატურა: 3,2

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 250 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 7,2 წამში

ფასი: 32 000 ევრო




# ალოფ(ა)სის თამაში

**ბრემენის** „ვერდერის“ განცხადებით, მიროსლავ კლოზე გუნდში რჩება.

„მუსიკოსთა“ სპორტულ დირექტორ კლაუს ალოფსის თქმით, ინფორმაცია, 29 წლის ფორვარდის 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლის თაობაზე, აბსურდულია. ალოფსმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ისიც, რომ „ვერდერი“ კლოზეს რომელიმე სხვა გერმანული კლუბისთვის მიყიდვას არ აპირებს.

როგორც ირკვევა, ბრემენელებსა და ფეხბურთელს შორის მიღწეული შეთანხმებით, კლოზე „ვერდერში“ კონტრაქტის ბოლომდე, ანუ 2008 წლის ზაფხულამდე დარჩება, მერე კი თავისუფალი აგენტის სტატუსით რომელიმე სხვა კლუბში გადავა, თუმცა დიდი შანსია, „ვერდერის“ ასეთი თამაში ფასის აწევას „ემსახურებოდეს“.

„ძალიან გვიხარია, რომ კლოზემ გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ სამი ვარიანტი გვქონდა — მისი კონტრაქტის გახანგრძლივება, რომელიმე უცხოურ გუნდში გადასვლა ან „ვერდერში“ დარჩენა. მან მესამე ვარიანტი აირჩია. კარგი იქნებოდა, გადაწყვეტილება უფრო ადრე მიეღო, მაგრამ მთავარია, ახლა ყველაფერი გარკვეულია და ყველანი ერთ მუშტად შევიკვრებით, რათა ეს სეზონი მაქსიმალურად წარმატებულად ჩავამთავროთ“ — ნათქვამია „ვერდერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ კლოზეს „ბაიერნი“, „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“ ეპატიჟებიან.

**ქოქი ქანდელაკი**

# პერუცი ოთხ ტურზე დაითანხმეს



**ვეტერანი** იტალიელი მეკარის ანჯელო პერუცის ფეხბურთიდან წასვლა გადაიდო — იგი კარიერას ახლა კი არა, სეზონის ბოლოს დაასრულებს. ამის შესახებ „ლაციოს“ მთავარმა მწვრთნელმა დელიო როსიმ თქვა.

შეგახსენებთ: პერუციმ გასულ კვირას „რომა“ — „ლაციოს“ მატჩის შემდეგ განაცხადა, ამდენ ტრავმებსა და ტკივილს ველარ ვუძლებ, კარიერას ახლავე ვასრულებო. იმ შეხვედრაში მან თითი დაიშავა.

„პერუცის კიდევ ერთხელ ველაპარაკე და შემიძლია, გითხრათ, რომ რომაული დერბი მისი ბოლო მატჩი არ იყო. იგი სეზონის ბოლომდე მაინც ითამაშებს. კარიერის ახლა, სერია A-ს დამთავრებამდე 4 ტურით ადრე დასრულებას აზრი არა აქვს. მან თითის ტკენის შემდეგ, ცხელ გულზე გააკეთა განცხადება“ — თქვა როსიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ყვითელი მცველი ყვითელ აეკ-ში

**ესპანური** „ვილიარეალის“ არგენტინელი მცველი როდოლფო მარტინ არუაბარენა მომავალი სეზონიდან ათენის აეკ-ში ითამაშებს. მას „ყვითლებთან“ კონტრაქტი 30 ივნისს ეწურება და მხარეებმა მისი გახანგრძლივება აღარ ისურვეს.

არუაბარენა უკვე შეუთანხმდა აეკ-ს ორწლიან კონტრაქტზე, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

„ძალიან მიხარია, რომ აეკ-ში გადავდივარ. შეთანხმების მიღწევა არ გაგვჭირვებია და კმაყოფილი ვარ. ვიცი, რომ დიდი ისტორიის მქონე გუნდში ვითამაშებ, რომელმაც ბოლო წლებში სერიოზული პროგრესი განიცადა. ჩემს გადაწყვეტილებაზე დიდი როლი ითამაშეს აეკ-ის მწვრთნელმა ლორენსო სერა ფერერმა და პრეზიდენტმა დემის ნიკოლაიდისმა. მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ და ჩემპიონატშიც ვეცდებით წარმატების მიღწევას“ — თქვა არუაბარენამ.

აქვე „ვილიარეალის“ კიდევ ერთ მცველზე, პასკალ სიგანზეც ვთქვათ. მან „ხიმნასტიკთან“ მატჩში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვე ველარ ითამაშებს. ლონდონის „არსენალის“ ექს-ფეხბურთელს, შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს.

**ქოქი ქანდელაკი**

# მოსალოდნელი წასვლა: კუმანი შინ



AFP

**ერვინ კუმანი** როტერდამის „ფეიენოორდის“ მთავარი მწვრთნელობიდან გადადგა. ეს არც იყო მოულოდნელი და გასაკვირი, რადგან გუნდმა სეზონი საზიზღრად ჩაატარა.

„ფეიენოორდმა“ ჩემპიონატი მეშვიდე ადგილზე ჩაამთავრა, რაც უცუდესი შედეგია 1990-91 წლების სეზონის მერე. აღსანიშნავია ისიც, რომ როტერდამელებმა 34 მატჩში 66 გოლი გაუშვეს... მათზე მეტი, 72 მხოლოდ ბოლო ადგილზე გასულმა „დენ ჰააგმა“ გაუშვა.

ახალი მწვრთნელის პოვნამდე როტერდამელებს ჰენკ დუუტი და ჯონ მეტგოდი უთავკაცებენ.

„სამწუხაროდ, კლუბს ცუდ ვითარებაში, წარუმატებელი სეზონის მერე ვტოვებ. თუმცა ვამაყობ, რომ „ფეიენოორდს“ ორი წელი ვწვრთნიდი“ — განაცხადა კუმანმა.

კუმანი „ფეიენოორდს“ 2005 წლის ზაფხულიდან წვრთნიდა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ჰუნტელაარი იუვესთან მოაწერს

**იტალიური** „ტუტოსპორტის“ ცნობით, ტურინის „იუვენტუსი“ და ამსტერდამის „აიაქსი“ კლაას-იან ჰუნტელაარის ტრანსფერზე მორიგდნენ.

ახალგაზრდა მეგოლეში ტურინელები 20 მილიონ ევროს გადაიხდიან. კონტრაქტს კი ჰოლანდიაში პლეი ოფების დამთავრების შემდეგ გააფორმებენ.

კლაას-იან ჰუნტელაარი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია ჰოლანდიაში და მის გადაბირებას უამრავი გრანდი ცდილობდა...

**ვაჟა ხუციშვილი**

# აიაქსი ბაიერნის შუაში

**მიუნხენის** „ბაიერნი“ გამთამაშებლის ძიებაში ამსტერდამის „აიაქსს“ მიადგა და უესლი სნეიდერის ყიდვა სურს.

ბავარიულ კლუბს „ჰამბურგმა“ რაფაელ ვან დერ ვაარტზე, „ვერდერმა“ კი დიეგოზე უარი უთხრეს, ამიტომ „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი სნეიდერის ტრანსფერზე ფიქრობს.

ჰოლანდიელი ფეხბურთელის გადაბირება „მანჩესტერს“, „ჩელსის“, „ტოტენჰემს“, „ვალენსიას“, „მილანსა“ და „ბარსელონასაც“ სურდათ. ზამთარში „ბარსა“ „აიაქსს“ 12 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, მაგრამ გარიგება არ შედგა.

„ბაიერნი“ კი, „თაიმსის“ ცნობით, „ჩელსიდან“ არიენ რობენის შეძენითაცაა დაინტერესებული და 15 მილიონი გირვანქის გადამხდელია.

# დეკუ: ინტერი არ მაინტერესებს!

**ბარსელონელმა** დეკუ სოუზამ, ვინც ორი კვირა ვერ დაეხმარება გუნდს, თქვა, „ინტერში“ არ გადავალო...

„მუდამ ვამბობდი, რომ აქ თავს კარგად ვგრძნობ. არასოდეს მითხოვია ჩემი აგენტისთვის სხვა კლუბის მოძებნა. უჩემოდ ის მოლაპარაკებას არავისთან გაბამს“ — განაცხადა პორტუგალიელმა.

„ინტერის“ ამბავი კი იმიტომ ამოტივტივდა, რომ მისი აგენტი ჟორჟე მენდეში მილანში უნახავთ. ინტერელებს ლუიშ ფიგუს შემცვლელი უნდათ და იტალიური მედია ამტკიცებდა, დეკუს ყიდულობენო. „ბარსას“ ნახევარმცველი, რომელიც აგვისტოში 30 წლის გახდება, კატალონიურ კლუბში კონტრაქტის ამოწურვამდე, 2010 წლის ზაფხულამდე აპირებს დარჩენას.

# ბარსა ფორლანის ფანია

„**ევროსპორტის**“ ცნობით, „ბარსელონამ“ დაადასტურა, რომ „ვილიარეალიდან“ შეიძლება, დიეგო ფორლანი იყიდოს. ურუგვაელი ფორვარდი სამუელ ეტოოს მეწყვილედ ან კამერუნელის წასვლის შემთხვევაში, მის შემცვლელად განიხილება.

ფორლანს „ვილიარეალთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს და „ბარსას“ იგი დაახლოებით 12 მილიონი ევრო დაუჯდება. უკვე პრემიერლიგელ „სანდერლენდსაც“ სურდა ურუგვაელის ყიდვა, მაგრამ მან ინგლისში დაბრუნება იუარა.

„ვილიარეალი“ უეფას თასზე თუ ვერ მოხვდება, ფეხბურთელი გუნდიდან წავა.

# ნათხოვარი სარაგოსელები

„**სარაგოსას**“ ანდრეს დალესანდროს კონტრაქტის გამოსყიდვა უნდა, რომელიც „ვოლფსბურგიდანაა“ განათხოვრებული. არაგონული კლუბი „მგლებს“ 3 მილიონ ევროს სთავაზობს და ალბათ მოაგვარებს ამ საქმეს.

გარდა ამისა, „სარაგოსაში“ იტალიური „ჯენოადანაა“ ნაქირავები მეგოლე დიეგო მილიტოც და მის კონტრაქტში გენუელებს ხუთ მილიონს უხდიან, ხოლო მადრიდის „რეალიდან“ ნათხოვარ მცველ კარლოს დიოგოში — 4 მილიონ 500 ათასს.

# კაპიტანი გააგდეს

| 22:00 | 510 | ჰოლანდია(17)-ისლანდია(17) | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| | | ჰოლანდია | | | | | | |
| | | თასი ფინალი | | | | | | |
| | | 6 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 505 | ალკმაარი-აიაქსი (6) | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| | | საბერძნეთი. თასი ფინალი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 506 | პანათინაიკოსი-ოლიმპია (6) | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| | | ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 502 | ლატვია-უკრაინა | 1.60 | 4.30 | 2.95 | 1.16 | 1.03 | 1.74 |
| 20:00 | 503 | რუსეთი-იტალია | 1.01 | 9.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.88 |
| | | კალათბურთი | | | | | | |
| | | ევროლიგა | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 464 | ცსკა-უნიკახა | 1.07 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 22:30 | 465 | პანათინაიკოსი-ტაუ | 1.30 | 12.00 | 3.10 | 1.17 | 1.00 | 2.46 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | სიტი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ნიუკასლი-ბლეკბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | რედინგი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ფულემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ევერტონი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | უიგანი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ასტონ ვილა-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | არსენალი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | რეინჯერსი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ფოლკირკი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | ჰართსი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | დანფერმლაინი-მაზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ჰანოვერი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15058 | აინტრახტი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15059 | ჰამბურგი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15060 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | შალკე-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | შტუტგარტი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ჰერტა-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | ლევერკუზენი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15121 | მილანი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15123 | სამპდორია-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | კალიარი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | კიევო-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ლაციო-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | მესინა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | პალერმო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ლევანტე-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | ბეტისი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | დეპორტივო-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | რეალი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | სოსიედადი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | მალიორკა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | უელვა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | ვილიარეალი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | სარაგოსა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | მონაკო-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | ნანსი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | პსჟ-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | რენი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | სტ-ეტიენი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ლე მანი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15201 | სედანი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ოსერი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15203 | ლანსი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | სოშო-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | სტრასბური-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | ტუარი-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | გენგამი-ნიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | ლე ავრი-დიჟონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | გენიონი-ლიბურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ისტრი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | აიაჩო-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | შატორუ-კანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | კრეტეი-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | გრენობლი-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | ლოკერენი-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | სიტი-მანჩესტერი | 4.20 | 1.15 |
| 16004 | ნიუკასლი-ბლეკბერნი | 1.52 | 2.20 |
| 16005 | რედინგი-უოტფორდი | 1.12 | 4.60 |
| 16006 | ფულემი-ლივერპული | 2.05 | 1.65 |
| 16008 | ევერტონი-პორტსმუთი | 1.32 | 3.00 |
| 16009 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1.55 | 2.20 |
| 16010 | უიგანი-მიდლსბრო | 1.50 | 2.30 |
| 16011 | ასტონ ვილა-შეფილდი | 1.40 | 2.55 |
| 16012 | არსენალი-ჩელსი | 2.05 | 1.65 |
| 16013 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2.10 | 1.60 |
| 16051 | რეინჯერსი-სელტიკი | 1.62 | 2.05 |
| 16052 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1.38 | 2.65 |
| 16053 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 1.50 | 2.30 |
| 16054 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.58 | 2.10 |
| 16055 | ჰართსი-აბერდინი | 1.50 | 2.30 |
| 16056 | დანფერმლაინი-მაზერუელი | 1.40 | 2.55 |
| 16057 | ჰანოვერი-კოტბუსი | 1.32 | 3.00 |
| 16058 | აინტრახტი-ალემანია | 1.30 | 3.00 |
| 16059 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.32 | 3.00 |
| 16060 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3.00 | 1.30 |
| 16061 | შალკე-ნიურნბერგი | 1.14 | 4.70 |
| 16063 | შტუტგარტი-მაინცი | 1.11 | 5.70 |
| 16064 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1.62 | 2.05 |
| 16065 | ჰერტა-ვერდერი | 2.10 | 1.60 |
| 16067 | ლევერკუზენი-არმინია | 1.23 | 3.60 |
| 16121 | მილანი-ფიორენტინა | 1.30 | 3.00 |
| 16123 | სამპდორია-რეჯინა | 1.70 | 1.95 |
| 16124 | კალიარი-უდინეზე | 1.17 | 4.10 |
| 16125 | კიევო-პარმა | 1.55 | 2.20 |
| 16127 | ლაციო-ლივორნო | 1.14 | 4.70 |
| 16129 | მესინა-ინტერი | 5.50 | 1.12 |
| 16130 | პალერმო-რომა | 1.58 | 2.10 |
| 16172 | ლევანტე-ტარაგონა | 1.30 | 3.00 |
| 16173 | ბეტისი-ხეტაფე | 1.50 | 2.30 |
| 16174 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.85 | 1.80 |
| 16175 | დეპორტივო-ვალენსია | 2.05 | 1.65 |
| 16176 | რეალი-სევილია | 1.34 | 2.80 |
| 16177 | სოსიედადი-ბარსელონა | 4.10 | 1.17 |
| 16179 | მალიორკა-ოსასუნა | 1.38 | 2.65 |
| 16180 | უელვა-ბილბაო | 1.40 | 2.55 |
| 16181 | ვილიარეალი-სელტა | 1.45 | 2.45 |
| 16182 | სარაგოსა-რასინგი | 1.30 | 3.00 |
| 16194 | მონაკო-მარსელი | 1.80 | 1.85 |
| 16195 | ნანსი-ნიცა | 1.55 | 2.20 |
| 16196 | პსჟ-ლიონი | 1.95 | 1.65 |
| 16198 | რენი-ბორდო | 1.58 | 2.10 |
| 16199 | სტ-ეტიენი-ლილი | 1.58 | 2.10 |
| 16200 | ლე მანი-ნანტი | 1.32 | 3.00 |
| 16201 | სედანი-ლორიანი | 1.55 | 2.20 |
| 16202 | ოსერი-ტრუა | 1.38 | 2.65 |
| 16203 | ლანსი-ტულუზი | 1.32 | 3.00 |
| 16204 | სოშო-ვალენსიენი | 1.32 | 3.00 |
| 16206 | სტრასბური-ბრესტი | 1.12 | 4.60 |
| 16207 | ტუარი-ამიენი | 2.90 | 1.32 |
| 16208 | გენგამი-ნიორი | 1.30 | 3.00 |
| 16209 | ლე ავრი-დიჟონი | 1.17 | 4.10 |
| 16210 | გენიონი-ლიბურნი | 1.50 | 2.30 |
| 16211 | ისტრი-რეიმსი | 1.40 | 2.55 |
| 16212 | აიაჩო-მეცი | 1.95 | 1.65 |
| 16213 | შატორუ-კანი | 1.95 | 1.65 |
| 16214 | კრეტეი-მონპელიე | 1.52 | 2.20 |
| 16215 | გრენობლი-ბასტია | 1.50 | 2.30 |
| 16216 | ლოკერენი-გენკი | 3.60 | 1.24 |

## გოლი: ლუწი-1 კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | სიტი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ნიუკასლი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | რედინგი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ფულემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ევერტონი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | უიგანი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ასტონ ვილა-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | არსენალი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | რეინჯერსი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ჰართსი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | დანფერმლაინი-მაზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ჰანოვერი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | აინტრახტი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17059 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | შალკე-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | შტუტგარტი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ჰერტა-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | ლევერკუზენი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17121 | მილანი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17124 | კალიარი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ლაციო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17129 | მესინა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | პალერმო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ლევანტე-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ბეტისი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17175 | დეპორტივო-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17176 | რეალი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17177 | სოსიედადი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17179 | მალიორკა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17180 | უელვა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ვილიარეალი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17182 | სარაგოსა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | მონაკო-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | ნანსი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17196 | პსჟ-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | რენი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17199 | სტ-ეტიენი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ლე მანი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17201 | სედანი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ოსერი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17203 | ლანსი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17204 | სოშო-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | სტრასბური-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ტუარი-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17208 | გენგამი-ნიორი | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ლე ავრი-დიჟონი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ლოკერენი-გენკი | 1.85 | 1.95 |

Euroleague

# ევროლიგა

ოთხთა ფინალი ათენი. 4-6 მაისი

FINAL FOUR 2007 ATHENS

# ათენში მხოლოდ ერთისთვის გათენდება



დღეს საღამოს ათენის ოლიმპიური დარბაზი პირთამდე გაივსება

**დღეს** ევროკალათბურთის მექა ათენშია — ბებერი კონტინენტის უპრესტიჟულესი ტურნირი საბერძნეთის დედაქალაქში ოთხთა ფინალით დასრულდება. რეკორდი მოხსნილია — ევროლიგის ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებზე 26 ქვეყნის 600-ზე მეტი ჟურნალისტია აკრედიტირებული, ხოლო ტელეტრანსლაცია 163 (!) ქვეყანაში გადაიცემა.

ერთი სიტყვით, ათენში ამ საღამოს დიდი ამბები იქნება. ერთმანეთს ევროპის ოთხი გიგანტი შეასკდება. ორი ნახევარფინალიდან ერთი განსაკუთრებითაა გამოსარჩევი — ევროლიგის ბოლო ათ მატჩში დაუმარცხებელი ბასკური „ტაუ" მასპინძლისა და ამ უპირატესობის გარეშეც ძლევამოსილი „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ.

ამ წყვილში ინტრიგას ისიც ამძაფრებს, რომ ორივე გუნდი სრულ მზადყოფნაშია, დაშავებული არავინ ჰყავთ და გამარჯვებისკენ ლტოლვაც არ აკლიათ. ეს გუნდები ერთმანეთს 11-ჯერ შეხვდნენ, რომელთაგან ბოლო სამი ევროლიგის ოთხთა ფინალში გადასასვლელ შარშანდელ საპლეიოფო სერიაზე მოდის. მაშინ ვიტორიელებმა ბერძნებს გზა გადაუღობეს პრაღის ოთხთა ფინალისკენ.

„პანათინაიკოსისა" და „ტაუს" მწვრთნელებს ჯამში 9 ევროლიგური ტიტული აქვთ მოპოვებული — ისინი ევროპის ყველაზე წარმატებული მოქმედი მწვრთნელები არიან. სხვათა შორის, ბოზიდარ მალკოვიჩი იყო, ვინც „პანათინაიკოსს" 1996 წელს პირველი საევროლიგო ტიტული მოაპოვებინა. მალკოვიჩი ახლა „ტაუს" წინამძღოლობს, ხოლო ათენური გუნდის ამჟამინდელი მწვრთნელი არანაკლებ სახელოვანი ჟელკო ობრადოვიჩია.

მეორე წყვილშიც ღვივის ინტრიგა, თუმც მოქმედ ჩემპიონ მოსკოვის ცსკა-ს მეტი სპეციალისტი ანიჭებს უპირატესობას. მალაგის „უნიკახას" ოთხთა ფინალში არასდროს უთამაშია, ცსკა კი ბოლო 6 წელია, ოთხეულს გარეთ არ დარჩენილა.

არმიელთა წისქვილზე ასევე ასხამს წყალს უნიკახელების — მარკო ტუშეკისა და დევიდ ვანტერპულის ტრავმები. ამ მოთამაშეების ბედი ჯერაც გაურკვეველია და არავინ იცის, დაეხმარებიან თუ არა ისინი ესპანელებს.

ცსკა-ს შემადგენლობის მხრივ არ უჭირს. ის კი არა, შარშანდელი ოთხთა ფინალის უძვირფასესი მოთამაშე თეოდორას პაპალუკასი სკამზე უზის და ლიდერ ოსკარ ტორესის შესანაცვლებლად ჰყავს შეგულებული.

საქართველო არ შედის იმ 163 ქვეყანაში, რომლებმაც ოთხთა ფინალის ტრანსლაცია იყიდეს, თუმც ქართველ გულშემატკივარს მაინც ექნება ამ სანახაობის ხილვის შესაძლებლობა. უკრაინული „სპორტ 1", რომელიც აიეტის პაკეტში შედის, ორივე მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას გადმოსცემს.

**ირაკლი პერტაია**

## ცსკა VS უნიკახა

მოსკოვი. რუსეთი — მალაგა. ესპანეთი — 19.30

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტრაიან ლანგდონი | 13,4 | მექულეები | ბერნი როდრიგესი | 10,9 |
| თეო პაპალუკასი | 5,3 | მეპასეები | ბერნი როდრიგესი | 2,7 |
| დევიდ ანდერსენი | 4,7 | მომხსნელები | დანიელ სანტიაგო | 4,9 |

## პანათინაიკოსი VS ტაუ

ათენი. საბერძნეთი — ვიტორია. ესპანეთი — 22.30

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიხაელ ბატისტე | 12,8 | მექულეები | ლუის სკოლა | 16,0 |
| დიმიტრიოს დიამანტიდისი | 4,0 | მეპასეები | პაბლო პრიჯიონი | 5,0 |
| კოსტას ცარცარისი | 5,0 | მომხსნელები | ლუის სკოლა | 5,9 |

### ურთიერთშეხვედრები ევროლიგაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1995-96 | უნიკახა — ცსკა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 81:70 |
| 1995-96 | ცსკა — უნიკახა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 81:67 |
| 2002-03 | უნიკახა — ცსკა | ტოპ-16 | 76:95 |
| 2002-03 | ცსკა — უნიკახა | ტოპ-16 | 89:70 |
| 2003-04 | უნიკახა — ცსკა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 62:65 |
| 2003-04 | ცსკა — უნიკახა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 91:84 |
| 2004-05 | უნიკახა — ცსკა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 62:73 |
| 2004-05 | ცსკა — უნიკახა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 76:70 |
| 2005-06 | ცსკა — უნიკახა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 87:63 |
| 2005-06 | უნიკახა — ცსკა | პირველი ჯგუფური ეტაპი | 77:72 |

### ურთიერთშეხვედრები ევროლიგაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1998-99 | ტაუ — პანათინაიკოსი | მეორე ჯგუფური ეტაპი | 74:77 |
| 1998-99 | პანათინაიკოსი — ტაუ | მეორე ჯგუფური ეტაპი | 86:63 |
| 2002-03 | ტაუ — პანათინაიკოსი | პირველი ჯგუფური ეტაპი | 75:76 |
| 2002-03 | პანათინაიკოსი — ტაუ | პირველი ჯგუფური ეტაპი | 86:83 |
| 2004-05 | პანათინაიკოსი — ტაუ | პირველი ჯგუფური ეტაპი | 99:95 |
| 2004-05 | ტაუ — პანათინაიკოსი | პირველი ჯგუფური ეტაპი | 84:82 |
| 2004-05 | პანათინაიკოსი — ტაუ | ტოპ-16 | 93:81 |
| 204-05 | ტაუ — პანათინაიკოსი | ტოპ-16 | 86:69 |
| 2005-06 | პანათინაიკოსი — ტაუ | ნახევარფინალი | 84:72 |
| 2005-06 | ტაუ — პანათინაიკოსი | ნახევარფინალი | 85:79 |
| 2005-06 | პანათინაიკოსი — ტაუ | ნახევარფინალი | 71:74 |

# PLAYOFFS

# დენ-ვერა აივერსონს



კარმელო ენტონი და ალენ აივერსონი უპლეიოფოდ დარჩნენ

1999, 2003 და 2005 წლების ჩემპიონმა „სან ანტონიომ" მეორე წრისკენ გზა აღარ გაიმრუდა, სერიის მეხუთე თამაშშივე მოუთავა ხელი თავის ამბიციათა ქსელში გახლართულ „დენვერს". განმეორდა 2005 წლის ამბავი — მაშინაც ეს ორნი შეიყარნენ პირველ რაუნდში და მაშინაც სადებიუტო მარცხის შემდეგ „სან ანტონიომ" ზედიზედ ოთხი მოგებით დაშანთა „დენვერი".

კოლორადოელებს ვერ უშველეს ვერც სეზონის სუკეთესო დამცველად დასახელებულმა მარკუს კემბიმ, ვერც ლიგის მეორე ბომბარდირმა კარმელო ენტონიმ და ვერც წინა წლებში ოთხჯერ გამომბარდირებულმა ალენ აივერსონმა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს დასწყდა გული. ის ხომ „ფილადელფიიდან" „დენვერში" სწორედ საჩემპიონო ფიქრებით ტვინდამძიმებული გადავიდა და ახალ გუნდს წონაც შემატა, თუმც თუ არ ჩავთვლით „სან ანტონიოსთან" პირველ თამაშს, აივერსონს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. მეხუთე შეხვედრაში უფრო ხელის შემშლელი იყო, ვიდრე ხელის შემშველებელი — თამაშიდან 22 ტყორცნიდან 16 გააფუჭა.

„სან ანტონიო" კი უფრო გაწონასწორებულთ გუნდად წარუდგა მეტოქეს. იმის ნიშნად, რომ „სფურზი" მარტო 2-3 ვარსკვლავის იმედად არაა, წინა შეხვედრებში რობერტ ჰორის ბასრი თამაში გამოდგება, მეხუთეში კი კიდევ ერთი ვეტერანის, 34 წლის მაიკლ ფინლის გარჯა, რომელმაც 8 სამქულიანი ჩააგდოდა კლუბის ყველა დროის საპლეიოფო რეკორდი დაამყარა.

„რეალობას თუ ჩავუღრმავდებით, ჩემი კარიერა დაღმა მიდის და სულ მალე ყველაფერს დავამთავრებ, ამიტომ ახლა ყველა სათამაშო ეპიზოდისგან სიამოვნებას ვიღებ და ასე თანდათან ვემშვიდობები კალათბურთს" — ამბობს ფინლი.

„სან ანტონიო" მეორე წრეში ძველ მეტოქე „ფინიქსს" ხვდება, რომელმაც პლეი ოფიდან ასევე 4:1 ანგარიშით გაისტუმრა კიდევ ერთი დიდვარსკვლავ კობი ბრაიანტის „ლეიკერსი". მეხუთე შეხვედრაში ბრაიანტმა 34 ქულა ჩააგდო და მისმა მარჯვენა ხელმა ლამარ ოდომმაც თითქმის ამდენივე გააკეთა, მაგრამ ამით მათ მხოლოდ კარი გაიჯახუნეს, იდეალურად მომუშავე „ფინიქსს" კი თავზე ბეწვიც ვერ შეურხიეს.

**კოტე ყორშია**

2 მაისი

## დასავლეთი

### სან ანტონიო 4:1 დენვერი

დენვერი 93:78 სან ანტონიო

სან ანტონიო: ფინლი (26), დანკანი (23 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (16 ქულა, 10 პასი)
დენვერი: ენტონი (21), აივერსონი (21), ბლეიკი (12), კემბი (4 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება)

### ფინიქსი 4:1 ლეიკერსი

ფინიქსი 119:110 ლეიკერსი

ფინიქსი: სტუდემაიერი (27 ქულა, 16 მოხსნა), მერიონი (26 ქულა, 10 მოხსნა), ბარბოსა (18), ნეში (17 ქულა, 10 პასი)
ლეიკერსი: ბრაიანტი (34), ოდომი (33 ქულა, 10 მოხსნა), ტურიაფი (12 ქულა, 10 მოხსნა), ფარმარი (11)

ჩოგბურთი

# კარგად დაწყებული ცუდად დამთავრდა

ქართველი ჩოგბურთელებისთვის საკმაოდ კარგად დაწყებული კვირა, როდესაც ანთალიის 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბარიერი ერთბაშად სამმა ჩვენებურმა დაძლია, კარგადვე ველარ გაგრძელდა — ქართველები ანთალიური შეჯიბრის ძირითად ტურნირსაც მალე დაემშვიდობნენ და ოკეანისგაღმა, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ შარლოტსვილის შეჯიბრზეც პირველივე წრეში დამარცხდნენ.

ანთალიის მაგარსაფარზე სამი ჩვენებურიდან ორმა — თინათინ ყავლაშვილმა და სოფო ქვაცაბაიამ პირველივე წრეში წააგეს და მეორეში მხოლოდ ოქსანა კალაშნიკოვა გავიდა, თუმცა შორს ველარც ის წავიდა — 17 წლისა და რეიტინგში 328-ე ადგილზე მყოფ შვეიცარიელ სტეფანი ფოგელთან 4:6 0:6 დამარცხდა.

ჩვენებურები უშანსოდ იყვნენ შარლოტსვილის თიხნარზეც, სადაც 50-ათასიანი ტურნირი ტარდება. ერთი კი უნდა ითქვას — სოფო მელიქიშვილსაც და ანა ტატიშვილსაც სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ მასპინძლების, მეგან შონესისა და ლილი ოსტერლოჰის სახით.

28 წლის შონესი ოდესღაც მე-11 იყო კლასიფიკაციაში, ამჟამად კი 56-ე ადგილზე იმყოფება და მან მელიქიშვილს ოდენ ოთხი გეიმი დაანება — 6:1 6:3.

თავის დროზე ოსტერლოჰიც საკმაოდ მაღლა, 41-ე ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა ახლა მხოლოდ 155-ეა. შესაბამისად, ტატიშვილმა უფრო მეტი იბრძოლა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა და 3:6 4:6 დამარცხდა.

# გინდა გაყავით, გინდა გადაყავით
## ნადალი ფედერერს ყველგან ამწარებს

ერთს თიხნარის მეფეს ეძახიან, მეორეს კი — ბალახის. პირველი გრუნტზე უკვე მესამე წელი ილევა არ აგებს და ამ პერიოდში მისმა მოგებების სერიამ 72-ს უწია. მეორე კი ბალახზე 48 მატჩია უძლეველი რომ არის და ამ ხანობაში მის ანგარიშზე უკვე ზედიზედ ოთხი მოგებული უიმბლდონია.

რა თქმა უნდა მიხვდით, რომ საუბარი რაფაელ ნადალსა და როჯერ ფედერერზე გვაქვს. თანამედროვეობის ამ ორ საუკეთესო ჩოგნის მქნეველს რამდენი ხანი ერთმანეთს რომ ატოლებენ და ადარებენ — მაინც რომელი ჯობია? პირად შეხვედრებში ესპანელს აშკარა უპირატესობა აქვს, მაგრამ მათი დუელების უმრავლესობა ხომ რაფას ტერიტორიაზე, თიხნარზე შედგა. ბალახზე კი ისინი ერთხელ დაეტაკნენ ერთმანეთს, შარშან უიმბლდონის ფინალში, და იქ „მხიარულმა როჯერმა“ იმარჯვა.

ჰოდა, იმის გასარკვევად თუ რომელი უკეთესად ეგუება მეტოქის გარემოს, ნადალის თანამემამულეებმა საჩვენებელი მატჩის გამართვა განიზრახეს — ამაზე 1,63 მილიონი დოლარი დახარჯეს და პალმა დე მალიორკაში სპეციალური კორტი გააკეთეს, რომლის ერთ ნახევაზე ბალახი დააგეს, მეორეზე კი თიხნარი გაშალეს.

უნდა ითქვას, რომ თამაში საჩვენებლს ნაკლებად ჰგავდა და ჩოგბურთელები მართლაც ბოლომდე დაიხარჯნენ. მატჩის დაწყებიდან 2 საათნახევრის თავზე კი გამარჯვება ნადალს დარჩა, 7:5 4:6 7:6 — ესპანელი ხომ ფედერერის ნამდვილ ნემიზიდად იქცა და შთაბეჭდილება რჩება, რომ უკვე მნიშვნელობა არა აქვს რომელ საფარზე ხვდებიან ერთმანეთს, გამარჯვებული მაინც რაფა გამოდის ხოლმე.

**კახა ლომჯიშვილი**



გინდა ბალახი, გინდა თიხა. . . გამარჯვებული კი მაინც რაფაელ ნადალია

**კაცები**
ეშტორილი. პორტუგალია. თიხნარი
საპრიზო 625 000 $

**მეორე წრე**

ვინსენტ სპადეა (აშშ) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 2:6 6:3 6:4; რიშარ გასკე (5, საფრანგეთი) — ფრედერიკო გილი (პორტუგალია) 6:1 6:2; პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) 6:2 6:1; ხუან მონაკო (არგენტინა) — სემ ქუერეი (აშშ) 3:6 6:1 6:4; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (6, რუსეთი) 6:4 6:3; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 6:2 6:2

**ქალები**
ვარშავა. პოლონეთი. თიხნარი
საპრიზო 600 000 დოლარი

**მეორე წრე**

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:1 6:2; მარა სანტანჯელო (იტალია) — ნადია პეტროვა (5, რუსეთი) 6:3 6:3; ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:2 7:5; ანა ჩაკვეტაძე (6, რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:2 6:2; ვენუს ვილიამსი (აშშ) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:1 7:6; სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) 2:6 6:2 6:1; ალონა ბონდარენკო (უკრაინა) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 0:6 6:4 6:3

ჭიდაობა

# ვერისბაღური კრივალოსანი

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციამ მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართა. გუშინ ვერის ბაღის კრივის დარბაზმა ექვს დაპირისპირებას უმასპინძლა.

62 კგ-ში ალექსანდრე გამყრელიძემ (თბილისი) და ანირ ბაბიროვმა (რუსთავი) იკრივეს. თანაბარ ტემპში ჩამთავრებული რაუნდის შემდეგ ინიციატივა ბაბიროვმა იგდო ხელთ და დამსახურებულადაც იმარჯვა. 66 კგ-ში ბესო წიქარიშვილი (თბილისი) და ტატო ქადაგიშვილი (გურჯაანი) შეებნენ. კახელმა კარგად დაიწყო და რაუნდიც მოიგო, თუმცა შემდეგ ფიზიკური გამძლეობა არ ეყო და უშანსოდ დამარცხდა.

72 კგ-ში აბო ქათამაშვილი (გურჯაანი) და დიმიტრი კუტიბაშვილი (წნორი) შეიბნენ. კახური დერბი სწრაფ ტემპში დაძაბულად წარიმართა. ეს ბრძოლა დღის ყველაზე თვალსასეირო ჯახი გამოდგა და საბოლოოდ აბო ქათამაშვილმა დამაჯერებლად მოიგო.

66 კგ-ში დავით ქადაგიძე (დედოფლისწყარო) და სერგო სონიშვილი (რუსთავი) ავიჟნენ რინგზე. ინიციატივა თავიდანვე ქადაგიძემ იგდო ხელთ და გამარჯვებაც მას დარჩა.

54 კგ-ში კახაბერ ტოკლიკაშვილი (დედოფლისწყარო) და კახაბერ ავეტისიანი (ბორჯომი) წარუდგნენ ერთმანეთს. კურორტელმა თავიდანვე მძლავრად შეუტია მეტოქეს და დამსახურებულადაც აჯობა.

62 კგ-ში დავით ინასარიძემ (რუსთავი) და გიორგი კურტანიძემ იჩხუბეს (თბილისი). თანაბრად დაწყებული კრივის შემდეგ ინასარიძემ მეტოქეს ბლომად ქულები აუღო. მან მთელი ორთაბრძოლა ტაქტიკურად სწორად წარმართა, კურტანიძე ახლოს თითქმის არ გაიკარა და მეხუთე რაუნდში აქეთ მიაყენა გადამწყვეტი დარტყმა. თბილისელმა ბრძოლის გაგრძელება ველარ შეძლო და ინასარიძეს ტექნიკური ნოკაუტი ჩაეთვალა.

**ლევსო მაისურაძე**

ხელბურთი

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
## კაცები. მეოთხე წრე

3 მაისი

**სტუ-თელავი 24:25 თბილისი**

**სტუ-თელავი:** სამყურაშვილი, მსხვილიძე (გაიტანა 8 გოლი), ტალახაძე (5), ამირან ყიფიანი (3), ქობელაშვილი (3), ბერძენიშვილი (2), მამია კობახიძე (2), ნიკოლაიშვილი (1), ომარ ყიფიანი, სიგუა, გიორგი კობახიძე, ირაკლი ჩიქოვანი

**თბილისი:** სეთურიძე, ანდრიაძე, ფარაჯევი (8), ნივნივაძე (5), გელაშვილი (4), ფორაქიშვილი (3), ღლანიძე (3), ქირია (2), ნატროშვილი, სამარლანიშვილი, გრიშიკაშვილი, ოსიყმაშვილი, ქუთათელაძე

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ვახტანგ ბერიაშვილი

# თბილისი აზერბაიჯანელმა გააძლიერა



გუშინ თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში ჩემპიონობის პრეტენდენტთა მორიგი პრინციპული მატჩი შედგა. ამჯერადაც თვალსასეირო და ბოლომდე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, ისეთი, საფინალო სასტვენამდე რომ გაურკვეველი იყო გამარჯვებული.

ისე, თითქმის მთელი თამაში „თბილისი“ ლიდერობდა, თუმც წინა შეხვედრის მსგავსად ახლაც ფრე იყო მოსალოდნელი, მაგრამ ბოლო წამზე მამია კობახიძის პენალტი გაგა სეთურიძემ მოიგერია.

აღსანიშნავია, რომ უკვე თავის სადებიუტო მატჩში ჩინებული ოსტატობითა და შედეგიანობით გამოიჩინა თავი „თბილისის“ აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ელდარ ფარაჯევმა, რომლის სახითაც გუნდმა ორი საჩემპიონო სუპერთამაშის წინ საგრძნობი ძალა შეიმატა.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 | 1 | 1 | +166 | 27 |
| სტუ-თელავი | 15 | 12 | 1 | 2 | +189 | 25 |
| იმედი | 16 | 6 | 1 | 9 | -112 | 13 |
| ქარიშხალა | 15 | 5 | 1 | 9 | -17 | 11 |
| სსსსუ-მამული | 15 | 0 | 0 | 15 | -226 | 0 |

მშვილდოსნობა

# ქალები გუნდურის იმედად დარჩნენ

FITA
METEKSAN
ARCHERY
WORLD CUP
Varese, 30 April–5 May 2007

იტალიურ ვარეზეში მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. 30 აპრილს დაწყებული ტურნირის ინდივიდუალური და გუნდური ჩემპიონ-პრიზიორები ხვალ გამოვლინდებიან.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე მხოლოდ ქალთა გუნდით გამოდის. ინდივიდუალურ შეჯიბრში საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი სამეულიდან ყველაზე უკეთ ხათუნა ნარიმანიძემ ისროლა — მან 607 ქულა დააგროვა და 21-ე ადგილზე გავიდა. ქრისტინა ესებუა 597 ქულით 29-ე იყო, ხოლო ასმათ დიასამიძე კი 570 ქულით 45-ე გახლდათ. ამ შედეგებით სამივე ქართველმა შეძლო პლეი ოფში გასვლა. იქ კი პირველ ეტაპს მხოლოდ ესებუა გასცდა, რომელმაც ჩეხ ბარბორა ჰორაჩკოვას 103:101 მოუგო. ნარიმანიძე იტალიელ პია კარმენ ლიონეტისთან დამარცხდა — 103:110, დიასამიძე კი რუსმა ტატიანა ბოროდაიმ შეაჩერა — 90:111. მეთექვსმეტედფინალში ესეუბა კორეელი სენგ ჰვა იუნგის გვერდით დადგა და 105:111 დამარცხდა.

გუნდურ პირველობაში ჩვენი ტრიო 1774 ქულით მეათე ადგილზე გავიდა და დღეს პრეი ოფში მასპინძელთა ნაკრებს დაუპირისპირდება.

# როცა მთაში შუქნიშანი არ არის

**შარშანდელი ზაფხულის მთამსვლურ სეზონში კავკასიონზე მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. დაისვა უამრავი კითხვა, რომლებზეც ერთმანეთის გამომრიცხავი პასუხები გაიცა. საზოგადოების წინაშე ექსპერტის როლში ხშირად გამოდიოდნენ პიროვნებები, რომლებიც ალპინიზმისგან საკმაოდ შორს იდგნენ. მათ შეფასებებს, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოებაში მხოლოდ დაბნეულობა შეჰქონდა. ქართულ მთამსვლელობაში რომ ყველაფერი დალაგებული არაა, ეს ისედაც კარგად ჩანს. ერთ საგაზეთო სტატიაში, ცხადია, ვერ გაეცემა პასუხი ყველა იმ კითხვას, რომელიც დღეს ქართულ მთამსვლურ საზოგადოებას აღელვებს და რომელთა მოუგვარებლად ვითარება სასიკეთოდ ვერ შეიცვლება**



დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოში სამთო-სამაშველო სამსახური არ არსებობს. ამიტომაც ჩვენმა საზოგადოებამ უშბაზე დატრიალებული ტრაგედიის დროს... ჰოლანდიელი ალპინისტებისგან შეიტყო. ამ ფაქტმა თავად ჰოლანდიელებიც ფრიად გააკვირვა.

მართლაც ძნელია იმის დაჯერება, რომ ქვეყანა, რომელსაც უფალმა კავკასიონი არგუნა, ალპინიზმსა და სამთო ტურიზმს მეორეხარისხოვან სპორტის სახეობად მიიჩნევს (სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად მიჩნეულია სპორტის 14 სახეობა. მათ შორის ალპინიზმი არ ფიგურირებს).

ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისა და იმავდროულად მთამსვლელისთვის, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს მაღალმთიანეთს, გაუგებარია, თუ რატომ არა აქვს ალპინიზმს მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, თუნდაც წმინდა პრაგმატული მოსაზრებით — სახელმწიფო საზღვარი ჩვენ დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ხომ კავკასიონის მთაგრეხილებზე გადის!

2004 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში დაშვებული შეცდომები (პრეზიდენტი ჩეჩნეთში წარმოებულ ანტიტერორისტულ ოპერაციებს გულისხმობდა) უპირატესად განპირობებული იყო იმით, რომ არ გააჩნდათ კარგად გაწვრთნილი სამთო ნაწილები. იმავე გამოსვლაში მან თავდაცვის მინისტრს დაავალა ამ საკითხის უსწრაფესი მოგვარება — ორი მსხვილი სამთო შენაერთის შექმნა და მათი სათანადოდ აღჭურვა-გაწვრთნა.

ვფიქრობ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ასევე წაადგებოდა მაღალი მომზადების მობილური სამთო შენაერთების არსებობა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ როლზე, რომელიც შეიძლება ითამაშოს ალპინიზმმა და სამთო ტურიზმმა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ სამთო-სამაშველო სამსახურის პრობლემას. ცხადია, რომ ასეთი სტრუქტურა ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს. ამის შემდეგ უნდა დადგინდეს, ვის დაქვემდებარებაში იყოს (ვინ უნდა აფინანსებდეს) და რა სტრუქტურა გააჩნდეს მას.

თუ ჩვენ იმ დროს დაველოდებით, როცა კერძო სექტორი (ვგულისხმობ სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის სფეროს) ისე განვითარდება, როგორიც დღეს ევროპაშია და თავის თავზე აიღებს მთაში საძიებო-სამაშველო საქმიანობას, წინასწარ უნდა შევურიგდეთ იმ ამბავს, რომ აღნიშნული სტრუქტური შექმნა ქვეყანაში კარგა ხნით გადაიდება, ხოლო იმავე პერიოდში უბედურ შემთხვევათა რაოდენობა, ცხადია, უზომოდ მოიმატებს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთაში საძიებო-სამაშველო სამუშაოები (ალპინისტურ მარშრუტებს ვგულისხმობ) მნიშვნელოვან მატერიალურ-ფინანსურ რესურსებსაც საჭიროებს, რაც სამთო სადაზღვევო სისტემის შექმნის აუცილებლობას განაპირობებს.

აქედან გამომდინარე, დღეს ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამთო-სამაშველო სამსახურზე.

ისიც ცხადია, რომ თუ ცენტრი თბილისში იქნება, მას უნდა ჰქონდეს ფილიალები (მუდმივი ან დროებითი) ყველა იმ რაიონში, სადაც სამთო ტურისტების და ალპინისტების დიდი რაოდენობით თავმოყრაა მოსალოდნელი.

ამასთან, უნდა გადაწყდეს, როგორი სახის სამთო-სამაშველო სამსახურის შექმნა გვინდა: ისეთის, რომლის საქმიანობა მხოლოდ დახმარების გაწევით შემოიფარგლება, თუ მას უბედურ შემთხვევათა პროფილაქტიკა დაეკისრება, კონტროლის უფლებაც ექნება — მწვერვალზე არ გაუშვას ჯგუფი, რომლის მომზადების დონეც მარშრუტის ტექნიკურ სირთულეს არ შეესაბამება.

ვისაც მთაში სამაშველო სამუშაოებთან საქმე არ ჰქონია, მათ გასაგონად ვთქვათ, რომ დაზარალებულის ჩამოყვანა მეტად რთული და სარისკო საქმეა, მით უმეტეს, თუ უბედური შემთხვევა ტექნიკურად რთულ ალპინისტურ მარშრუტზე მოხდა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ უამინდობის გამო სამაშველო ოპერაციის გადადება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაუშვებელია — ადამიანის სიცოცხლეა საფრთხეში!

თუ სამაშველო სამსახური მოწოდებულია განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების გადასარჩენად, მაშველი სრულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ჯგუფის შესახებ: შემადგენლობა და სპორტული კვალიფიკაცია; ასვლის ობიექტი და მიმართულება (მწვერვალზე სხვადასხვა კატეგორიის სირთულის რამდენიმე მარშრუტის არსებობაა შესაძლებელი); მარშრუტზე გასვლის და დაბრუნების ვადები; მეთვალყურე ან მაშველი ჯგუფის არსებობა ადგილზე; რადიოკავშირი მარშრუტზე გასულ ჯგუფთან (დღეში არანაკლებ სამი სეანსი) და სხვა.

ისიც ცხადია, რომ უმეტეს შემთხვევებში (სერიოზული ტრავმები, კრიტიკული სიტუაციები და ა.შ. რომლებიც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს) დახმარება თბილისიდან ნაკლებად ეფექტურია. მაშველი, როგორც წესი, მარშრუტის ძირში ან მის უშუალო სიახლოვეს უნდა იმყოფებოდეს.

სამაშველო სამსახურს კონტროლის უფლებითაც თუ აღვჭურვავთ, ასვლებზე ნაკლებად მოხვდება სათანადო გამოცდილებისა და აღჭურვილობის არმქონე ჯგუფი, რაც უბედურ შემთხვევათა ალბათობას მკვეთრად შეამცირებს.

მიუხედავად ამისა, არსებობენ როგორც ცალკეული მთამსვლელები, ასევე საზოგადოებრივი გაერთიანებები და სამთო ტურიზმში ჩართული კერძო სტრუქტურები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ასვლებზე რაიმე სახით კონტროლის დაწესება არ შეიძლება, ვინაიდან ეს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შელახვის ტოლფასია და ამ სფეროში სრულ თავისუფლებას ითხოვენ.

წარმოვიდგინოთ, რომ „მთამსვლელთა" ჯგუფს, რომელმაც უშბაზე ასვლა განიზრახა, საამისო ტექნიკური დონე და აღჭურვილობა არ გააჩნია. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რისკი უზომოდ მაღალია. იბადება კითხვა — უყურო ამას გარეშე მაყურებლის როლში, რაც არაფრით ჯდება ცნებაში „გიყვარდეს მოყვასი შენი", თუ ჯგუფი მარშრუტზე არ გაუშვა!

თუ რა რისკის შემცველია სამაშველო სამუშაოები და რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას, ჩვენ, ქართველ მთამსვლელებს საკუთარ თავზე არაერთხელ გამოგვიცდია.

როგორც აღვნიშნეთ, სამთო საკონტროლო-სამაშველო სამსახურს კონტროლის უფლებებიც უნდა ჰქონდეს, რაც დებულებაში უნდა აისახოს.

ისიც ცხადია, როგორც ალპინიზმის განვითარებისთვის, ასევე საკონტროლო-სამაშველო სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მთის მწვერვალებზე ასვლების ერთიანი „წესების" დაწესება, რომელიც სავალდებულო იქნება, როგორც ალპინისტებისთვის, ასევე ამ სფეროში მოსაქმე ორგანიზაციებისთვის და მათ შორის კერძო კომერციული სტრუქტურებისთვისაც.

წარმოვიდგინოთ სპორტის სახეობა, რომელიც „წესებს" არ ექვემდებარება! ავიღოთ თუნდაც ბრძოლა წესების გარეშე — აქაც კი ეს საქმე „წესების" მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული და ორთაბრძოლის მონაწილეთა უსაფრთხოებით არის ნაკარნახევი.

აქედან გამომდინარე, ასვლები მწვერვალებზე, რაც ასევე მაღალი რისკის სფეროს განეკუთვნება, უთუოდ „წესებს" უნდა ექვემდებარებოდეს.

თუ მწვერვალებზე ასვლები „წესებით" არ იქნება რეგლამენტირებული, მაშინ მათ დასარეგისტრირებლად არც საკონტროლო-სამაშველო [illegible]

ისიც საკითხავია, რის საფუძველზე უნდა დაადგინოს საკონტროლო-სამაშველო სამსახურის ინსტრუქტორმა ჯგუფის წევრთა სპორტული კვალიფიკაციის დონე და მათ მიერ კონკრეტული მარშრუტის ცოდნა-არცოდნა, თუ ჯგუფს სამარშრუტო დოკუმენტაცია არ გააჩნია (ალპინისტური წიგნაკი, მარშრუტის აღწერილობა, ექიმის ვიზა და ა.შ.).

სპორტული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი კი — ჩვენ შემთხვევაში მთამსვლელის ალპინისტური წიგნაკი — ავტომატურად მიგვიყვანს მწვერვალზე ასვლებისა და ჩათვლის რეგისტრაციის აუცილებლობამდე, რაც „წესების" გარეშე წარმოუდგენელია.

როცა ასვლები არ კონტროლდება, ძნელია იმის დადგენა, თუ რა კონკრეტული მარშრუტი გაიარა ჯგუფმა, ან იყო საერთოდ მწვერვალზე თუ არა!

სათანრიგო ნორმატივებს ალპინიზმში საფუძვლად უდევს ასვლების გამოცდილების თანმიმდევრული (ნაკლები სირთულიდან — მაღლისაკენ) და სისტემატური დაგროვება.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ ჯერ კიდევ 2001 წელს გამოაქვეყნა ალპინიზმში სათანრიგო ნორმატივების პროექტი. ამ პროექტს რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში იმჟამად მოქმედი ნორმატიული აქტები უდევს საფუძვლად.

ჩვენი ღრმა რწმენით, ალპინიზმში სათანრიგო ნორმატივების დაწესება ხელს შეუწყობს მთამსვლელთა ტექნიკური დონის ამაღლებას, სპორტული მიღწევების ზრდას და როგორც შედეგი — მთამსვლელთა უსაფრთხოების ამაღლებას.

აქცენტი რუსეთზე და უკრაინაზე იმითაა განპირობებული, რომ მათ ალპინისტურ სკოლებს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უკავიათ.

ახლა კვლავ სამთო-სამაშველო სამსახურს დავუბრუნდეთ. ამ სტრუქტურის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია „წესები", რომელიც სავალდებულო იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ შეიმუშავა და 2002 წელს ცალკე ბროშურის სახით გამოსცა მთის მწვერვალებზე ასვლების წესები და იგი ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას დაუგზავნა. მაგრამ „წესები" ფედერაციის გრიფით მხოლოდ იმათთვის აღმოჩნდა სავალდებულო, ვინც საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციაშია გაერთიანებული.

დამეთანხმებით, რომ მწვერვალებზე ასვლების „წესები" სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის (კერძო პირი იქნება თუ ორგანიზაცია), ვინც ალპინიზმსა და სამთო ტურიზმის სფეროში საქმიანობს. „წესების" დამრღვევებზე კი უნდა ვრცელდებოდეს დისციპლინარული სანქციები, ალპინიზმში საქმიანობის აკრძალვის ჩათვლით.

ცხადია, რომ „წესების" ცხოვრებაში გატარებისათვის მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო გრიფი.

**ზოთა ჩირიანაშვილი**
***საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი***

რუბრიკას წარმოადგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ლაუდას ფავორიტი ჰემილტონია

წლევანდელი საპირველფორმულო სეზონის სასტარტო სამი ეტაპი უკვე იძლევა ჩემპიონატის მონაწილეთა ძალებისა და შანსების შეფასების საფუძველს. ამის შესახებ საუბრობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ავსტრიელი პილოტი ნიკი ლაუდა



— ეტყობა, საინტერესო სეზონი გველის...

— ყველაზე საინტერესო ბოლო წლებში. ჩვენ ვიხილავთ არა მხოლოდ გუნდებს შორის ბრძოლას, არამედ შიდაგუნდურსაც — ფერნანდო ალონსოსა და ლუის ჰემილტონს, კიმი რაიკონენსა და ფელიპე მასას შორის.

— წითელი („ფერარი“) და ვერცხლისფერი („მაკლარენი“) — 2007 წლის პოდიუმზე ძირითადი ფერებია...

— ისე გამოდის, რომ მთელ სეზონში „ფერარის“ და „მაკლარენის“ დომინირება იქნება და სწორედ ისინი გაითამაშებენ ერთმანეთში ჩემპიონობას. ამასთან, დაძაბულ შიდაგუნდურ ბრძოლასაც ველი, თუკი ერთ-ერთი გუნდი დიდ უპირატესობას მიაღწევს.

— ოთხ მრბოლს — რაიკონენს, მასას, ალონსოსა და ჰემილტონს აქვს სატიტულო შანსი. ფავორიტად ვის თვლით?

— ეს დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ფავორიტად ახალბედა ჰემილტონს ვთვლი. იგი ახალგაზრდაა და ისეთივე სწრაფი, როგორც ალონსო.

— როგორ გგონიათ, „ფერარი“ და „მაკლარენი“ ადრე თუ გვიან გააკეთებენ აქცენტს ერთ მრბოლზე?

— იმედი მაქვს, რომ გუნდური ტაქტიკა ორ ფინალურ გრან პრიმდე არ იქნება. ახლა ცალსახად ვერ ვიტყვით, ვინ უფრო სწრაფია და ვფიქრობ, უახლოეს მომავალშიც ვითარება არ შეიცვლება.

— ვინ უფრო ძლიერია, „ფერარი“ თუ „მაკლარენი“?

— რთული კითხვაა. ორივე გუნდმა ჩინებულად გაართვა თავი თავის სამუშაოს, ორივეს სწრაფი მრბოლები ჰყავს. მოდით, დაველოდოთ, ვნახოთ ვინ იქნება ლიდერი რამდენიმე ეტაპის შემდეგ და ვინ მიიღებს უპირატესობას გუნდის უფრო ეფექტური მუშაობის, ანდა მეტოქის შეცდომის შედეგად.

— ხოლო მესამე ძალა?

— სადღეისოდ ეს „**BMW**-ზაუბერია“, ეტყობა, ისინი ლიდერებს არ ჩამორჩებიან მანქანის სრულყოფის ტემპში. „რენოს“ ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, მათი ახალი მანქანა მათთვის ახალი, „ბრიჯსტოუნის“ საბურავების მახასიათებლებს ვერ აკმაყოფილებს.

— ვინ გაგაკვირვათ სეზონის პირველ რბოლებში?

— „მაკლარენმა“ და ჰემილტონმა. ჩემპიონატის დებიუტანტისგან ამგვარ სერიოზულ წარმატებას არ ველოდი. არადა, იგი ხომ ჯერ სწავლობს და ნამდვილად მოუმატებს.



ლუის ჰემილტონმა ნიკი ლაუდას აღტაცება დაიმსახურა

თუ გუნდი „ფერარიზე“ უპირატესობას მოიპოვებს, ჩემპიონი ჰემილტონსა და ალონსოს შორის ორთაბრძოლაში გაირკვევა.

— და ვინ გაგიცრუათ იმედი?

— „ტოიოტამ“. ამ გუნდმა თავის მრბოლებს ვერ მოუმზადა კონკურენტუნარიანი მანქანა. დანარჩენებსაც — „რენოს“, „რედ ბულს“, „უილიამსს“ — მანქანების გასაუმჯობესებლად დიდი მუშაობა მოუწევთ, თორემ სეზონი მათთვის უიმედოდ ჩაფლავებული იქნება.



## პლეი ოფი. მეორე წრე

### აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი 1:3 ოტავა**

მეოთხე მატჩი

ოტავა 3:2 ნიუ ჯერსი

*1:0 1:1 1:1*

1:0 ალფრედსონი (5, ჰიტლი, სპეცა), 1:1 ჯიონტა (25, უმრ. ელიაში, ბროდო), 2:1 ჰიტლი (35, უასისტენტოდ), 3:1 ფიშერი (44, რედენი, ემერი), 3:2 პანდოლფო (50, მარტინი, ბრილინი)

### დასავლეთი

**დეტროიტი 2:2 სან ხოსე**

მეოთხე მატჩი

სან ხოსე 2:3 დეტროიტი

*1:0 1:1 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 ჩიჩუ (18, ტორნტონი, მიხალეკი), 2:0 გოჩი (29, რისმილერი), 2:1 ჰოლმსტრომი (40, უმრ. ლიდსტრომი, შნაიდერი), 2:2 ლანგი (60, ფილპულა), 2:3 შნაიდერი (77, უმრ. უასისტენტოდ)

# როგორ დავიღალე!

## ბროდო მიზეზობას დაეჩვია

„ტამპასთან“ საწყისი მატჩების ჩაგდების შემდეგ მარტინ ბროდო თითქოს თავის თავს დაემსგავსა, და ისე ათამაშდა, როგორც მისგან ელიან. მაგრამ გუშინ „ნიუ ჯერსი“ სუპერ-კიპერმა აშკარად დაალალატა და თავისი გუნდი უფსკრულს მიაყენა. ბროდოს ორი საკმაოდ ბრიყვული შეცდომის გამო „ოტავამ“ მეორე საშინაო გამარჯვებაც მოიპოვა და ახლა კონფერენციის ფინალში გასასვლელად ერთი მოგებაღა დარჩა.

ჯერ იყო და მეორე პერიოდში ბროდომ დენი ჰიტლის ძალიან მახვილი კუთხიდან დარტყმული ფეხებს შორის გაატარა, შემდეგ კი მაიკ ფიშერს „ჩუქა“ შაიბა, რომელმაც თავისი პირველი გოლი შეაგდო ამ პლეი ოფში.

„ბევრი მუშაობა მიწევს და ეტყობა, გადავიღალე“ — ბროდო ნამატჩევს თავს იმართლებდასავით, რაც არც „ეშმაკებსა“ და არც მათ გულშემატკივრებს დასამშვიდებლად არ გამოადგებათ.

აი, „დეტროიტმა“ კი უკვე მეორედ „სან ხოსესთან“ თითქმის წაგებული შეხვედრა შემოატრიალა და სერიაში ანგარიშიც გაათანაბრა. კალიფორნიელებმა ჭკუა ვერ ისწავლეს და მეორედ გაუშვეს ხელიდან ორშაიბიანი უპირატესობა, რაც მათ იქნებ ძალიან მწარედაც დაუჯდეთ, რადგანაც შემდეგი შეხვედრა უკვე მიჩიგანში შედგება.

სერიის მეორე მატჩისგან განსხვავებით „წითელფრთიანებმა“ ამჯერად უფრო დრამატულ ბრძოლაში შეატრიალეს მატჩის ჩარხი. „დეტროიტი“ თავიდანვე კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა მასპინძელთა კარის დარაჯ ევგენი ნაბოკოვს. სამაგიეროდ, „ზვიგენებმა“ თავისი შანსები კარგად გამოიყენს და ჯონატან ჩიჩუსა და მარსელ გოჩის გოლებით კარგი უპირატესობა შექმნეს. თუმც „წითელფრთიანებმა“ თავის სტილში გააგრძლეს თამაში და ერთი შაიბა ზედ მეორე პერიოდის მიწურულს გაქვითეს, როცა სერიაში ყინულზე პირველად გასულმა ტომას ჰოლმსტრომმა თავის სტილში, დამატებაზე ითამაშა ბრწყინვალედ.

ანგარიში კი სტუმრებმა სულაც მატჩის ბოლო წუთზე გაათანაბრეს, როცა მანამდე ცოცხალ-მკვდარმა რობერტ ლანგმა პირველი ღირებული რამ გააკეთა და ნაბოკოვს მკლავის ქვემოთ გაუტანა.

**ძახა ლომჯიშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი

### A ჯგუფი

**იტალია 4:3 ლატვია**

*0:1 1:0 2:2 1:0 (ოვერტაიმში)*

0:1 დარზიშში (15), 1:1 ჩირონე (24), 1:2 დაუგავინში (52), 2:2 ანსოლდი (57), 3:2 ბორგატელო (58), 3:3 დარზინში (59), 4:3 ჩირონე (65)

**შვედეთი 6:0 შვეიცარია**

*0:0 5:0 1:0*

1:0 ტერნბერგი (21), 2:0 სტროლმანი (24), 3:0 ჰერნკვისტი (25), 4:0 დავიდსონი (28), 5:0 დავიდსონი (39), 6:0 ვალინი (47)

### C ჯგუფი

**ნორვეგია 3:5 გერმანია**

*0:2 3:3 0:0*

0:1 ხაკერტი (9), 0:2 ვოლფი (15), 1:2 ტრიგი (23), 2:2 აკი (24), 3:2 სპეტსი (24), 3:3 ვოლფი (25), 3:4 ტრიპი (27), 3:5 ბარტა (33)

**კანადა 5:4 სლოვაკეთი**

*1:1 3:2 1:1*

0:1 იურჩინა (3), 1:1 მერფი (4), 2:1 მაიერსი (21), 3:1 ბრიუერი (32), 3:2 ჰოსა (34), 4:2 ჰემიუსი (36), 4:3 ურამი (38), 4:4 შატანი (44), 5:4 ნეში (50)

# მთავარი წინაა

**რუსეთში** მიმდინარე ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ჯგუფების სამ-სამი მოწინავე მეორე ეტაპზე ორ ჯგუფში განაწილდა და თანაც, ამ გუნდებმა პირველ ეტაპზე ერთმანეთში დაგროვილი ქულებიც გაიყოლეს, რის შედეგადაც **E** და **F** ჯგუფებში ასეთი სასტარტო სურათი მიიღეთ:

| E ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 13:1 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 14:5 | 6 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 10:7 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:7 | 3 |
| იტალია | 0 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |
| დანია | 0 | 0 | 0 | 2 | 3:15 | 0 |

| F ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 12:5 | 6 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 0 | 8:6 | 6 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 9:6 | 3 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | 8:5 | 3 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 0 | 2 | 3:13 | 0 |

მეორე ჯგუფურ ეტაპზე გუნდები კიდევ სამ-სამ შეხვედრას ჩაატარებენ, მეოთხედფინალისტებს გამოავლენენ და მთავარი, ანუ პლეი ოფი მერედა დაიწყება. ხოლო თუ პირველ ეტაპზე გამართული მატჩებით ვიმსჯელებთ, საუკეთესო თამაშს, ჯერჯერობით, შვედები, ჩეხები და მასპინძელი რუსები აჩვენებენ. აი, კანადელები და სლოვაკები კი, რომლებიც შემადგენლობიდან გამომდინარე, მასპინძლებთან ერთად ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, ჯერჯერობით ვერ ბრწყინავენ. თუმცა, კიდევ გავიმეორებთ, მთავარი ბრძოლები წინაა და თეთრი და შავი პლეი ოფში გამოჩნდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00